

ხელოვნება 1910 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა"

I სურათი: მწუხარე საქართველო. იდა ჭავჭავაძის ძეგდი 434
II ალექსი, ლერსი გ. ქუჩიშვილისა 435
III გონიერი ლორი (თარგმანი) 436
IV სიმდიდრე (გადმოკეთებული) 437
V „კარგი წერილი" გადმოკეთებული ტასოსი . . 438
VI ზღაპარი ბელურაზე გალექსილი რუსულიდან ბაბადინასი 454
VII ბუტია აბგარა ა. ტერმიქელიანცისა თარგ. ვ. ბ—ნისა 454

VIII ფუტკარი, ლექსი დავ. გბგბეშკორისა 457
IX ბიძიას ნაამბობი, შემდეგი ალ. ნათაძისა 459
X შესანიშნავი ქვეყანა (მოგზაურობა ჩრდილოეთ ამერიკაში) შემდეგი 467
XI სებასტიან გომეცი (დასასრული) თარგმანი ან. წერეთლისა 476
XII გმირი ბავშვები 486
XIII წვრილმანი 488
XIV საქართველოს ისტორია შედგენილი ს. გორგაძისა. 33

ჯეჯილის სელის მოამწერლებს დაურიგდებათ სასჩუქრად

უცხო თაიგული

დასურათებული საყმაწვილო წიგნი შედგენილი პეტრე მირიანაშვილის მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საყმაწვილო ნახატებიანი
ყურნალი

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

სექტემბერი 1910

✦ წელიწადი მეოცდაერთე ✦

თ ბ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.
1910

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწუხარე საქართველო

ილია ჭავჭავაძის ძეგლი

ქანდაკება ი. ნიკოლაძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალერსი.

ღუუ! აღუ ბუტკუნჩელავ,
გაიცინე დედის გულო;
გაზაფხულის ტურფა ვარდო
შვება, ლხენა, სიხარულო!

მართალია შენსა მშობელს
გარს არტყია ნისლი ბნელი;
და მარად ცრემლ შეუშრობელ-ს
მკერდს უწელულებს შხამ-ნაღვვლი;

მაგრამ შვილო, შენ ხომ ვერ გრძნობ
ბედშავ დედის მწვავე დარდებს?
და თუნდ გრძნობდე რას გაგიმხელს
სიცოცხლის მღრღნელ გულის
ნადებს?!

მაშ იცინე, იღუღუნე,
ჰაწაწინა, ნორჩო მტრედო;
ჩემი სევდის უკუმურელო
სასოებავ და იმედო!!.

გ. ჭუჩიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გონიერი ლორი

ლორი შევარდა ბაღში. ძიუახლოვდა ვაშლის ხეს და დაუწყო ვაშლს ბერტყა. თან ეურს უგდებდა, დაბერტყილი ვაშლი ძირს სცვივა თუ არა — მერე მოაგროვა ვაშლი და დაუწყო ჭამა. ბოლოს ხელ-ახლა დაბერტყა ხე, ისევ მოჰყვა ეურის გდებას და როდესაც დარწმუნდა, რომ ხეს ვაშლი აღარა სცვივა არხეინათ გაძაძღარი გავიდა ბაღიდან.



სიმდიდრე

ერთი ხელ მოკლე ემაწვილი კაცი შეხვდა თავის ადრინდელ მასწავლებელს. ემაწვილი ძალიან შეწუხებული და ნაღვლიანი იყო. მან დაიწყო ჩივილი: არაფერში ბედი არა მაქვს. ყველა ჩემი ამხანაგები, რომელნიც ჩემზე ნაკლებათ სწავლობდენ გამდიდრდენ, მე კი არა მეშველა რაო.

— მართლა აგრეთი ღარიბი ხარ? დაეკითხა მასწავლებელი. — მგონი რომ ჯანმრთელი უნდა იყო, ეს შენი მარჯვენა

აგარია, განაგრძო მან და მის ხელს ეკეთო, — ამას საქმის გაკეთება უნდა შეეძლოს! ასი თუმანი რომ მოგცენ მოაჭრევინებ ამ ხელს?

— ღმერთმა დამიფაროს, ათასიც რომ მომცენ — ვერავის მივცემ ჩემ მარჯვენას. — უთხრა ემაწვილმა.

— რამდენათ დაუთმობდი მაგ შენ მკვირცხლ თვალებს, რომელნიც ასე ნათლათ შეჰყურებენ ქვეყნიერებას? ან შენ მახვილ ყურთა სმენას, ან შენ ფეხთა სიმარდეს! მგონი მთელი საძეფო რომ მოგცენ, მაინც არ გამოიმეტებ, არავის არაფერს არ დაუთმობ...

— თავის დღეში... რასაკვირველია ..

— მაშ რათა ჩივი სიღარიბეს, როდესაც აგრეთი მდიდარი ყოფილხარ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„კარგი წერილი“.

(მოსწავლე ქალის ნაამბობი)

ერთ მეავს ვატარა დაია — თინა. თინა სულ ვატარაა, ოთხი წლისა იქნება, მეტი არა. ამ ცოტა ხანში თინამ ძალიან შეგვაშინა. მართალია, ბოლოს ბევრი ვიცინეთ, მაგრამ თავდაპირველათ მისმა საქციელმა მეტად შეგვაწუხა.

აი, როგორ იყო საქმე, გიამბობთ:

ჩვენ სახლის სიაფის გამო ქალაქ გარედ ვცხოვრობთ. მამა ჩემი ყოველ დღე მიდის სამსახურში — შუაგულ ქალაქში. დედაჩემი კი სახლს უძღვება: გვიკეთებს საღილს, გვიკერავს ტანისამოსს. და რაც კი სახლში გვესაჭიროება ყველაფერს აკეთებს. მე და ჩემი უფროსი ძმა, ვალიკო, ვშველით რაც შეგვიძლიან, თუმცა ვსწავლობთ სასწავლებელში. ვატარა თინა კი აბა, რას გააკეთებს? სასაცილო რამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის! ცდილობს მოგვბაძოს: აიღებს ცოცხს ხელში ვი-თომ ჭგვის. ან გააღებს ხოლმე ჭურჭლის შკაფის კარს, ვითომ უნდა შეაწყოს ან გამოიღოს ჭურჭელი. ამასობა-ში რამდენი ჭურჭელი გაგვიტეხა რომ იცოდეთ! ამ დღე-ებში ხელში ეჭირა დედას ფინჯანი და უცბათ გაი-შოტა იატაკზე და გატეხა. რამდენს ნანობდა დედა ჩემი: რატომ არ დავკეტე შკაფიო.

მაგრამ სასაცილოა უფრო მისი ბაღში მუშაობა... უნდა გითხრათ რომ ჩვენ გვაქვს მთელი ბოსტანი, სადაც ვთესავთ კარტოფილს, სტაფილოს, ჭარხალს და წვანეულობას, ჩვენი მუშაობა ბოსტანში სწო-რეთ სანახავია. არა თუ დედა მუშაობს ჩვენთან ერ-თად, როდესაც მამა მოცლილია ისიც კი გვეხმარება, —რწყამს, მარგლამს .. დედა ეოველთვის გვეუბნება, რომ ჰაერზე მუშაობა ძალიან გვარგებს. მერე რომ იცოდეთ ამ ბოსტნის მოსავალი რანაირათ ხელს გვიწყობს ოჯახში, თორემ ეველაფრის ყიდვა დაგვ-ჭირდებოდა დუქანში და დედა კი ამბობს რომ დუ-ქანში ეოველთვის ძვირად ჰყიდიანო.

წარმოიდგინეთ, თინაც კი ცდილობდა ემუშავნა ბოსტანში: ვითომ აკეთებდა რამეს,—ხვნეშოდა, ძი-ვარდებოდა ორივე ხელით დიდ სარწყავს, როდესაც მამა რწყავდა და ეგონა რომ რამეს აკეთებს. ბოლოს წამოიძახებდა ისე, რომ სიცილით ვკვდებოდით: „ძლივს ერთი კარტოფილს დავალევინე წყალი“.

როდესაც თესლს ჩავურიდით ქიწაში, თინა თვალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადევნებდა და ძალიან უკვირდა, რომ ამ ბატარა ხანცვლიდან ამოვიდოდა მთელი ბუჩქი, მთელი სტაფილოები... ზოგჯერ ძოგვბაძავდა მე და ვალიკოს: ჩვენ რომ გაძოვმარგლავდით თინა აიღებდა გადასაურელად მომზადებულს ბალახს და ჭარხალში დარგავდა. ამით საქმე გვიფუჭდებოდა, მაგრამ თინა ისე სასაცილოდ აკეთებდა უფელა ამას, რომ ჩვენ ვერ ვუჯავრდებოდით. ან კი როგორ გაუჯავრდებოდით, როდესაც დაიას ეგონა, რომ გვშველის. ერთხელ მეც ძალიან გამაჯავრა: აიღო ჩემი თოხი, შევიდა ჩემ კვალში, საცა ის იყო ამოდიოდა ცერცვი და დაიწყო ორმოს მოთხრა. უნდოდა ჩაერგო რალაც გამხმარი ტოტი.— ეგონა ზედ კომბოსტოს მოისხამსო, კიდევ კარგი რომ მე ძალე შევამჩნიე. ისე სწრაფათ აკეთებს უფელაფერს, რომ ვერ ვასწრობთ თვალი ვადევნოთ მის საქციელს.

კინალამ დამავიწყდა რაც მინდოდა მეამბნა თქვენთვის.

მამა-ჩემი და დედა-ჩემი ძალიან საფიქრებელში იყვენ. მამაჩემს ჯამაგირი ცოტა ჰქონდა და არ გვეოფნიდა. უნდა სადმე მოეძებნა კიდევ სხვა სამუშაო, თორემ ვერც ჩემის ძმის სწავლის ფულს და ვერც ჩემისას ვერ ვადიხდიდა და სასწავლებლიდან დათხოვნა მოგველოდა.

ერთხელ მამაჩემმა მხიარულად სთქვა, რომ სამუშაოს დამპირდნენო და წერილით შემატყობინებენო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მოგვივა ეს სანატრელი წერილი, მაშინ ჩვენი საქმე გამოკეთდებაო. ჩვენ ყველამ ძალიან გავიხარეთ და მოუთმენლად ველოდით ამ ჩვენ გამხარებელ წერილს, ვუდარაჯებდით „ფოშტალიონს“.

თინამ გაიგო, რომ მამას კარგი წერილი უნდა მოუვიდეს და როდესაც დაინახავდა ვისმეს ბრჭყვიალა ფოლაქებიანს—ყვიროდა: „ფოტალიონია, ფოტალიონი!“.

ჩვენ, რასაკვირველია, ისევ ისე ვსწავლობდით და ხშირად არ ვიყავით სახლში. თინა მარტოკა დათარეშობდა. დიდის სიფრთხილით ჩავიდოდა სამ საფეხურზე და ერთწამს გაჩნდებოდა ბაღჩაში.

ერთხელ სადილაო ვემზადებოდით, სუფრასა ვშლიდით. დედა ჩემი სამზარეულოში იყო. შემოესმა რომ მამაჩემი დაბრუნდა და ჰირდაჰირ ბაღჩაში დაუწყო თინას მხიარულად თამაშობა. დარბიან ბაღში, იცინიან. ამათ აჰყვა ჩვენი ცუგაც და ატყდა ერთი მხიარული აურ-ზაური, ხმაურობაზე დედაჩემი გამოვიდა სამზარეულოდან და ჰკითხა რაჩია ამბავი. მაშინ მამაჩემმა უთხრა, რომ დღეს უსათუოდ უნდა მივიღო ის სანატრელი, კარგი წერილი, რომელსაც დიდი ხანია ველიო. ყველას, რასაკვირველია, ძალიან გაგვესარდა. სადილის შემდეგ ჩამოვსხედით აივნის საფეხურზე და გავიყურებოდით ქუჩისკენ, მალე დავინახეთ „ფოშტალიონი“, იმან გაგვიარა, მე და ვალიკო გავვარდით ქუჩაში. მამამ ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განა ჩემს სახელზე წერილი არ არის?

— ესლა არა, ხომ დილით მოგიტანეთ!

ჩვენ ერთხმათ შევძახეთ:

— როგორ თუ დილით! ვის მიეცით?

— აი, მაგ ჰატარა ქალბატონს, და ხელი გაიშვირა თინასაკენ — თითონვე მოირბინა ჩემთან, იკითხა წერილი. მეგონა რომ გადმოგცემსთ.

მაშინ ჩვენ ყველანი თინას შემოვეხვიეთ და ვეკითხებოდით: რა უყავი წერილიო. თინა ხმას არ იღებდა.

ბელურასავით გულუბრყვილოთ შემოგვანათა თვალები, გაიღიმა და ბოლოს სთქვა:

— დავთესე!

ჩვენ ძალიან გაგვიკვირდა, შეგვეშინდა და მამაჩემი კიდეც გაწყრა, — როგორ თუ დათესე? რატომ დედას არ მიეცი წერილი? რა სათამაშო ნახე?

თინამ თავი მაღლა აიღო და მედიდურად სთქვა:

— მე სულაც სათამაშოდ არ ამიღია, — დავთესე! ზაფხულში ამოვა ბევრი, ბევრი კაი წერილები, წყალიც დავალევინე, მერე მამა წერილებს მოაგროვებს კალათით!..

რომ იცოდეთ რა ნაირათ ავღელდით, რა ნაირათ შევწუხდით. ვეკითხებოდით თინას თუ სად დათესა წერილი. საწყალს ვერ მოეგონებინა ადგილი. — ჰატარა იყო და რას დაიხსომებდა. უცებ ბაღის კუთხეში თვალი მოვკარი თინას ჰატარა სარწყავს და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხუპნულ ბატარა თოხს. იქვე სტაფილოს კვალი-სულ გათელილი იყო და მიწა აყრილი.

შევუდექით ყველანი წერილის ძებნას. გათელილი კვალი აღარ გვენანებოდა, სულ გადაურიეთ იქაურობა.— წერილი კი ვერსად ვიპოვნეთ. ღმერთო, ჩემო! რა უსიამოვნო ამბავი დაგვემართა, მამა ჯავრობდა, შეწუხებული დედა თითქმის ტიროდა. ჩვენ წერილი გვენანებოდა და თან თინაც გვეცოდებოდა. საწყალს უფიქრნია, რომ დავთესო—ბევრი კარგი წერილები ამოვაო.

ბევრი ვეძებეთ—ბაღჩის ერთი კუთხე სულ ამოვაგდეთ, მაგრამ ვერას გავხდით. ცუგამ ხომ აღარ მოგვასვენა. დაგვდევდა ფეხდაფეხ და გვეეფავდა, თითქოს გვიჯავრდებაო. გათავდა იმითი, რომ თინამ ამოუშვა ტირილი: საწყალი ტირის და ვერაფერი კი ვერ უთქვამს. მაშინ ძებნას მივანებეთ თავი. თინა ცოდო იყო, უნდა დაგვემშვიდებინა. დედაჩემმა აიყვანა ხელში და ჩამოჯდა კიბეზე. დაუწყო ნუგეშის ცემა. ძე მჩვრებისაგან დედოფალა გაუკეთე... მამაჩემმა ორჯელ სამჯერ აკოცა, მაგრამ ის არ წყნარდებოდა—სულ ტიროდა. ვალიკომ კვალები ისევ გაასწორა და რამდენიმე ბუჩქიც გადარგო.

კარგა გვიანამდინ თინა არ დამშვიდებულა, სულ ზლუქუნობდა.

მერე რა ოხდა—ამასაც ახლავე გიამბობთ.

თინა ადრე, შვიდ საათზე, წვებოდა. დედამ წაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევანა დასაძინებლათ. დაიძინა თინამ თუ არა ჩვენ ეველანი შევედით ოთახში მამასთან, რომ მოგველაპარაკნა წერილის შესახებ. დედა ამბობდა მივწეროთ რომ წერილი დაგვეკარგა და ხელ ახლათ გვაცნობონ, უსათუოდ ამის გულისთვის არ შემოგვწერებიან და საქმეს ისევ მოგცემენო.

ვსხედვართ ჩვენთვის და ნელის ხმით ვლაპარაკობთ. უცბათ შემოგვესმა ცუგას რაღაც უცნაური ყეფა, ძალიან იღრინებოდა. სმენათ გადავიქეცით... ის არ წენარდებოდა...

—უსათუოდ ვირთაგვა თუ იპოვა, თქვა მამა ჩემმა, ცუგამ იცის მათი სოროების მოძებნა.

ჩვენ ეველა გავეშურეთ სანახავათ, ჯერ არ იყო



ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბნელებული, მერე იცი-რა ვნახეთ? ჩვენი თინა ჰვერანგის ძმარა, ტიტველი ფეხებით ზის ერთ ბუჩქის ქვეშ და თავისი ჰატარა თათებით მიწას თხრის! ცუგა შეველის, ჰირდაჰირ უდგია, რაც ძალი და ღონე აქვს თხრის მიწას, თან იღრინება, იუეფება და არის ერთ ვაი-ვაგლახში, იმათ კარგა მოდიდო ორმო ამოეთხარათ.

დედა მაშინვე მივარდა თინას, აიუვანა ხელში, გადაჰკოცნა და შეიუვანა ოთახში, საწუალი კანკალებდა, და მთლად გაციებული იო. ჩვენც ის იო უნდა მოვშორებოდით იმ ადგილს, უცბათ ვნახეთ ამოთხრილის გვერდით რაღაც თეთრი მოჩანს... დავწვდით, ავიღეთ, თურმე წერილია. ჰაკეთი დახეული იო ნაკუწ-ნაკუწათ, ისე როგორც ჩვენ კარტოფილს დავჭრიდით დასათესათ. ასე დაეთესა, ზედ კიდევ წულით მოერწეო. ეტეობოდა რომ ბევრი წუალი დაესხა, რადგან ადგილი ჯერ ისევ სველი იო.

მამა ჩემმა მოაგროვა ეველა ნაჭრები და თავის ოთახში შეიტანა. ბევრი ასუფთავა, მაგრამ ისეთი გასვრილი და დაჭმუჭნილი იო, ისე ჰატარ-ჰატარათ დახეული, რომ ძნელი იო მისი წაკითხვა. ჩვენ ეველანი ვშველოდით, და მხოლოთ ის გავიგეთ, რომ ეს წერილი სწორეთ ის წერილი იო, რომელსაც ველოდით. მამა ჩემმა მაშინვე მისწერა, ეველაფერი აუსნა და ჩვენ ხელ ახლათ დავიწეეთ წერილის მოლოდინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცით რა დაემართა საწყალ თინას? გაცივდა ჭერანგის ამარა რომ იჯდა სველ მიწაზე და მაშინვე სველა აუტეხია. ისე ძალიან ახველებდა, ყელში ისე უჭერდა; რომ ექიმი მოუყვანეთ. ქუნთრუშა გამოაჩნდა და ერთ კვირას დაიტანჯა, საწყალი, კიდევ კარგი რომ მორჩა... რა ნაირად გაგვეხარდა მისი მორჩენა! მამა ჩემმა მეორე წერილი მიიღო ამ დროს და მერე რა კარგი წერილი!

ეტეობა თინა შეწუხდა რომ ვემებდით და უსათუოდ ძილში მოჰგონებია ადგილი, სადაც დაეთესნა წერილი და რადგან ბალჩის კარებიც ღია უნახავს, თითონვე წასულა მოსაძებნათ.

ტიხო.

(გადმოკეთებული).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღაპარი ბელურაზე.

(რუსულიდან.)

ე, ბავშვებო! ვისაც გინდათ
მოგისმინეთ, მიგდეთ ყური:
მსურს მოგითხროთ ბელურაზედ
ამბავი რამ სხვა ზღაპრული...

—

ერთს ქვეყანაში სცხოვრობდა
ერთი ჰატარა ბელურა;
დედას ბუდეში ეძინა
ზედ ჩალა-ბულა ესურა;

—

მიფრინდა ბარტყი, აღვიძებს,
ასე შესჩივის დედასა:
—„დედა, დედილო, მიშველე!
სად დავემალო სევდასა!“
—და ეგ სევდა რათ გეწვია?
შეეკითხა დედა შვილსა.
სთქვა ბელურამ:—დღეს დილაზედ
მე მივფრინდი ყანის პირსა,
იქ ტოროლა დავინახე,
ყური მოვკარ მის სიმღერას.
განცვიფრებით შევსცქეროდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძის ლაღობას, ალმა ფრენას;
ხმა წკრიალა იგი უცხო
მომკალსაც კი გაუკვირდა,
შესცქეროდა ალტაცებით,
თავის ეანას ვეღარ მკიდა
სთქვა: „რა ჭანგია, რა ჭანგი!
არ მოძწეინდება სმენაო,
ამისი დაბადებისთვის
მადლიანია ზენაო“

გული დაძწედა, რა ვისმინე
ეს სიტყვები მომკალისა
ამ გვარი რამ ბელურაზედ
ჯერ არ უთქვამს არავისა.
ჭო და რა ვარ? რას ვაკეთებ?
რა დავტოვო ქვეყნათ მე, რა?
ახ ნეტავი ვით ტოროლას,
შემძლებოდა ტკბილი მღერა.

II.

ნაღვლიანი გადავფრინდი
შორს, ტირიფზედ წყაროს ეურათ
დავინახე, იქ ბზეწვია
აბიჯებდა მედიდურათ.

ფერად ბოლოს წყალზე სდებდა,
როგორც ნავი ქანაობდა;
ხან დახტოდა ნაპირებზე
და ხან წყალში ბანაობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანჯრიდან მანდილოსანმა
გადმოიხედა, სთქვა ასე:
,,აგერ ფრინველი ლამაზი!
აქ მოდი, შვილო და ნახე!''
ბავშვები შემოეხვივნენ:—
—,,აბა, სად არის, სადაო!
—,,აგერ შეხედეთ ბოლო ჭრელს,
ელავს სხვა და სხვა ფრადაო.''
და ბავშვებსაც უხაროდათ
აკვესებდენ თვალთ ისრულად,
იცინოდნენ, კისკასობდენ...
უბრწყინავდათ სახე სრულად.
ნაღვლიანათ მოვისმინე
ბავშვთ ლაღობა და სიამე:
ვაჭ, საბრალო ბელურასა, —
ვინ შემხვდება ალერსით მე!

III.

კვალად სხვაგან მივაშურე,
გადავფრინდი შორით ქალაქს,
შავეფარე ერთგან ჭერ ქვეშ
იქ სახლ-კარი ჰქონდა დალაქს.
ორი მერცხალი კედელსა
სჯდა და გაზაფხულს აქებდა;
ფრთას იწმენდავდა ნისკარტით,
ბუმბულს არ დაილაქებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატარა ბიჭი ტიტინა
ალერსით შემოსქეროდა
ფერხული მათთან ჩაება,
მათთან უსტვენდა, მღეროდა:
—„თქვენთან ერთად
ჭე, მერცხლებო;
მეც გაზაფხულს“
შევეგებო.
წუარონს რაკრაკს
ვუგდო ყური,
ამოვწუწნო
ყვავილს გული“.
კვლავ ვისმენდი ნაღვლიანად:
არვინ მიცნობს დავრჩი ობლად...
მე ვერ გავხდი ბავშვებისთვის
გაზაფხულის მახარობლად.

IV

და ბეღურა ქვითინებდა,
მაგრამ დედამ ანუგეშა:
—„ნუ იტირებ, ჩემო კარგო,
განა ცრემლად ღირდა ესა!—
ჩვენ არ ვბრწყინავთ
როგორც სხვები,
გალობისთვის
არ გვაქვს ხმები.
და ჩვენ ყველას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხს და ერსა
ვერ ვთავაზობთ
კეთილს ბევრსა.
მაგრამ შვილო, მღერის გარდა
საქმე ბევრი არის სხვაცა.
გავაკეთოთ ის, რაც შევძლოთ
დაგვიმადლის მიწაც, ზღვაცა.
მოვაგროვოთ მარცვლეული
ახლო-მახლო არე-მარეს
და ღარიბებს გავუგზავნოთ,
დავარიგოთ ოთველ მხარეს.
მოვუაროთ ბაღში ხეხილს,
ჭია-მღილი მოვაცილოთ.
ეს ოთველგვარ სიმღერაზედ
სასარგებლოა უცილოდ.
დეე, ჩვენი სიმღერის ხმა
არა ჰგვანდეს ჭექა-ქუხილს;
ვიშრომოთ და ვიჭიკჭიკოთ,
მით ავიცდენთ დაღლას, წუხილს.
ერთხელ ქალი იჯდა ეზოს,
მოღლილიყო ის შრომითა,
მივფრინდი და ვუჭიკჭიკე.
ვანუგეშე ჩემის ხმითა;
მის ნაღვლიან თვალებიდან
ცრემლი სცრიდა როგორც წვიმა,
მაგრამ მაშინ გამოიბრუნდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბრწყინდა და გაიღიმა.
შემოძახა: „რა კარგი სარ,
საყვარელო ბედურაო,
გადმეყარა სევდა რომე
ბურუსივით მეხურაო.“
რადა გინდა! ასე არის:
შეგვიძლია ჩვენც სიკეთე;
იშრომე და იჭიკჭიკე,
რაც შესძლო ის გააკეთე.
ქვეყნათ ყველა ვერ გახდება
განთქმული და დიდებული;
იყავ მხოლოთ სასარგებლო,
ეი სიბრძნე, კარგათ თქმული.

V

ბედურამაც აღასრულა
მშობელ დედის დარიგება,
მიჭეო ხელი რისაც შესძლო
გაკეთება, ვარიგება...
და შრომობდა თვისი დღენი,
მიატოვა ამო სევდა;
მაგრამ აქაც ჰატარასა
ავი ბედი თანა სდევდა:
ერთხელ, როცა მარცვალს კენკდა
ჩააყოლა მწარე შხამი;
გაეშურა ბუდისაკენ,—
სიკვდილისა იგრძნო ჟამი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკითხება დედილოსა
მომაკვდავი ბარტყი-შვილი.
— დედა, მითხარ: ხომ ვიუავი
სასარგებლო და კეთილი!“
— „იუავ, იუავ!“ — უპასუხებს,
თანაც ფრთხილათ სურავს ფრთასა,
„შენ ჩიტებში გიცნობს ყველა,
როგორც კეთილს ბეღურასა“.
ბეღურამაც დედის სიტყვით
გაიხარა, ინუგეშა,
გაბუტევა მშვიდათ სული,
სიცოცხლისას მოსწყდა დღესა.

VI

დასტირიან იმ ბეღურას
ყვავილები, მთა და ველი;
ოთველ მხრიდან იქ მოფრინდა
ყველა ჯიშის სირ-ფრინველი.
უგალობენ: „მოკლე დღისამ
რაც შეძლო ის გააკეთა;
იგი შრომის მსხვერპლი გახდა,
იგი შრომამ ჩამოჰკვეთა“!

ბაბილინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუტია აბგარა.

ა. ტერმიქელიანცისა.

ოთხნი ძმანი ვიყავით. ყველაზედ უმცროსი ბუტია და მტირალა აბგარა იყო. ის სუთი წლისა იქნებოდა. დღე ისე არ გავიდოდა რომ ერთი უბრალო რამისთვის არ გაბუტულიყო და მთელი საათობით არ ეტირნა. ამის მიზეზი, მგონია, ის იყო, რომ ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარდა და ყველა მას ვეალერსებოდით; სოლო გარიკა შურის თვალით უყურებდა. ის ორის წლით უფროსი იყო აბგარაზე და მას ძალიან ეძტერებოდა, ერთთავათ ცხვირში სცემდა, აჯავრებდა და უყვიროდა. „ტიზი-ვა-ვა! ტიზი ვა-ვა!“.

ერთ კვირა დღეს დედა ჩვენი კორკოტს სარშავდა. ჩვენ ყველანი სახლში ვიყავით. დილიდან საღამოდის კერას გარშემო ვუსხედით და მოუთმენლად ველოდებოდით, თუ სუფრას როდის გაშლიდნენ. ფარდაკს ძალი-ძალ ვებღაუჭებოდით კორკოტის სასიამოვნო სუნით გატაცებულნი. ბოლოს დაგვიდგა კიდეც საწადელი დრო: მამა ჩვენი ბაზრიდან სახლში დაბრუნდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ სადილობა იყო. დედამ მოგვაშორა კერას, ახადა ქოთანს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმა ოშხივარმა დედა ერთ წუთს დამალა. მან ბოდ მოდგა ქოთანი, და სუფრაზე მოიტანა ჩვენი საუვარელი საჭმელი სუფრაზე დააწყო ჭურჭელიც.

კერძი ჯერ მამისთვის და თავისთვის გადაიღო. მერე აბგარას მისცა ცალკე ჭურჭლით, მერე მე მომცა. ჩემ ძმებს გარიკას და ჭაკობას საერთო ჭურჭელში დაუსხა. აბგარას კერძი უველა ჩვენს კერძებთან შედარებით მეტი იყო, მაგრამ ის მაინც კმაყოფილი არ დარჩა. აბგარამ რომ დაინახა ორი ძმის საერთო კერძი.—ბირველში წარბები შეჭმუხნა, ჭურჭელი გადადგა და აცრემლებულმა წაილუღლუღა.

— არ მინდა, ჩემთვის ცოტა დაგისხამთ, მე არ შევჭამ... გარიკას კერძი უფრო დიდია.

— ჭამე აბგარჯან' ჭამე, კიდევ დაგისხამ. უთხრა დედამ.

— არ მი-ნ-და!

ჩვენ უველანი ვარწმუნებდით, რომ ის კერძი ორისაა. მაგრამ ამაოთ, ჯიუტი თხასავით არას ისმენდა და ღრიალებდა.

ბოლოს დედა ძალიან გაჯავრდა, კერძი მოაშორა და უთხრა:

— შენ რომ ბირს გიჩვენებთ და უველა სურვილს გისრულებთ იმიტომ თავზედ დაგვაჯექი! ადე, დაიკარგე აქედან, მე საძაგელო. შენ კერძს გარიკას და არსენას მივცემ. ისინი თვალებს დაგიუენებენ, შესჭამენ შენ კი მშიერი დამირჩები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბგარამ ტირილს უფრო უმატა. ადგა და წავიდა, ბოძს ამოეფარა. დედა მოგვიბრუნდა ჩვენ და გვითხრა: ეურადღებას ნუ მიაქცევთო.

მამამ, რომელსაც აბგარა უსაზღვროთ უყვარდა, ცოტახანს შემდეგ დაუწყო ტკბილი ლაპარაკი:

— მოდი ჩემო თვალის ჩინო, ჩემო კარგო აბგარ, მოდი ბური ჭამე:

მამის შემდეგ ჭაკოფამ დაუძახა, მაგრამ ამაოთ.

სუფრის ალაგების დროც მოვიდა, აბგარამ შესწყვიტა ტირილი. ის ბოძის ხან ერთი მხრიდან გამოიჭვრიტებოდა და ხან მეორიდან ჩვენსკენ. როცა სუფრის ალაგებას შეუდგნენ გაუგებარის ქვითინით დაძიძახა.

— არსენ, ეი არსენ! ერთი აქ მოდი!

— ეჰე, მადლობა ღმერთს!—ჯიუტი თხა გონს მოვიდა.— შევძახეთ ყველამ ერთ ხმათ.

— მოდი ერთი აქ!—მინდა გითხრა...

მე მივედი.

— მამას უთხარი, ერთიც დაძიძახოს და მოვალ, წამჩურჩულა აბგარამ ყურში.

სიცილ-ხარხარით დავბრუნდი კერასთან, ყველანი ცნობის მოყვარეობით მომცვივდნენ:

—„რა გითხრა, ჭა! რა გითხრა?"

როცა მე აბგარას სიტყვები გავიმეორე, ყველამ საერთო სიცილი ასტეხეს. დედამ კი სიცილი შეიკავა და უთხრა აბგარას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მამა ალარ დაგიძახებს, ბუტიას ერთი უნდა კერძი? ის დიდი ხანია მარიკამ და არსენამ შეჭამეს.

— ახია, ტიზი ვა-ვა! ახია შენზე!.. ჰე, წადი ეხლა!.. შენი კერძი დედამ მე მოძცა, შენ დარჩი ცარიელი, ნახე—დედას მე უფრო ვუვარებივარ მე ჯუჯა, ტირი ვა-ვა! ამბობდა გარიკა და თან თითით ნიშნს უგებდა.

— ეი, შე საძაგელო, გარიკა! შენ ამის ჯავრი ნუ გჭირს! ჭო და კმარა, გაჩუმდი! თქვენ ამასთან საქმე არა გაქვთ. იცოდე ჩემო კარგო აბგარ, თუ კიდევ გიტირნია და გაბუტულხარ, ჩემთან ალარ მოგიკარებ. უთხრა დედამ, გადაეხვია შვილს, წაიყვანა თავისთან და სალამოსთვის შენახული კორკოტის ერთი კერძი წინ დაუდგა.

გარიკა კი მთელი სალამო აბგარას მასხარობით ეუბნებოდა.

„მამას უთხარი, ერთიც დამიძახოს და მაშინ მოვალ“...

ყ. კ-ნის.

(სომხურით)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტკარი.

სწუწნი ყვავილს,
ეშხით აღვსილს,
თაფლს ვამზადებ გემრიელს, ტკბილს;
კვლავ შევხარი,
როს მთა-ბარი
ბიბინებს და წყნარად არი!

—

არც სხვას, არც თავს
ვაყენებ ავს,
მეგობარი მრავლადა მყავს...
მტრობა, შური
ქვეყნიური
დამიგმია, ვარ ციური!

—

დღესაც კვალად
მაძევს ვალად
ქვეყნისათვის შრომა მრავლად ..
ვცთილობ მეცა,
თუ კი ზეცა
მწყალობს, რისხვა არ დამეცა!

—

თავს ვგრძნობ უფლად,
თავისუფლად
დავქრი მინდვრად, დავქრი ველად;
ვარდი, ია,
გულ-მკერდ ლია
სულ ჩემია, სულ ჩემია!

ლადო გეგეჭკორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბილიას ნაამბობი



(ბავშვების ცხოვრებიდან).

სკოლის პირველი დღეები.

5 ენკენისთვე.

ღეს ძალიან ადრე მოგვიხდა ადგომა. ძილისათვის კიდევ თვალები მებრიცება, მაგრამ თავს ვიკავებ, რადგანაც ვიცი, რომ დღეს სკოლაში უნდა წამიყვანონ. საჩქაროთ ჩამაცვეს, პირი დამბანეს, „ჯვარის მამის" პურის ნატეხი მომცეს დასანაყრებლათ და გამიყენეს გზას.

დღე ბურუსიანია, ნალვლიანი ჩემსაებრ; არ წვიმს, ცოტა მიზეზი უნდა, რომ ბუნების ნალვლიანობა წარღვნათ გადაიქცეს; ჩემი თვალებიც არა სტირიან, მაგრამ ცრემლი კი გუბდება თვალის ბუდეში. გული მეთანალრება, რალაც უბედურებასა ვგრძნობ და ხმაკრინტს არა ვძრავ, რომ, ისედაც დატანჯულ დედას, უფრო დიდი ტანჯვა არ მივაყენო, საშინელებაა ასეთი მდგომარეობა: ტირილი გინდოდეს, ვერ იტირო, ბოლმა გაწვებოდეს და ეს ბოლმა ვერავის გაუზიარო!

აი სკოლაც! ეზო სავსეა ბავშვებითა... დიდი ხმაურობაა... ჟრიამული. . ჩვენ ზევითა სართულში აგვიყვანეს და უშველე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელ ოთახში მოგვათავსეს. აქაც ჰედვაა... უმეტესობას ქალები შეადგენენ... დედა ჩემი და მე ჩემმა ძმამ სკამებზედ დაგვსხა და ხმა-ამოუღებლები რიღასიც მოლოდინში ვიყავით. ყველას ზრუნვის სახე ეტყობათ, ყველა გაჩუმებულა და ამ სიჩუმეს ხანდახან პატარა ბიჭები არღვევენ... ზოგი ტირის, ზოგი იცინის და ზოგი ბრახა ბრუხით უვლის ოთახს და თან ახალ ფეხთსაცმელებზე იცქირება. მე კი გაჩუმემული ვარ და ჩემი თვალები ამ ბავშვებს მისჩერებია... მალე კარებიც შემოაღეს... ყველა ფეხზედ წამოდგა, რადგანაც სკოლის უფროსი შემოვიდა... უფროსს თან ერთი ახალგაზრდა კაციც ახლდა. წავიდა უფროსი მაგიდისაკენ, რაღაც ქაღალდები დაიწყო, განკარგულება მისცა იმ ახალგაზრდას და თვითონ აქეთ-იქით ცქერა დაიწყო. მალე ჩემს ძმას დაუძახა, რაღაცა ჰკითხა, ჩემკენ დაიწყო ცქერა და ხელით მანიშნა, რომ მე მასთან მივსულიყავ... ცოტა არა შევკრთი, სისხლი მომაწვა და დედის კაბის კალთებს მაგრა ჩავკიდე ხელები... დედა ჩემი ბევრი შეხვეწა რომ წავსულიყავ, მაგრამ ვერ გავბედე... უფროსმა შენიშნა ეს, გაიღიმა და თვითონვე წამოვიდა ჩვენკენ... მე სულ უკან-უკან წავედი მის დანახვაზედ, მაგრამ დედამ გამომიყვანა და მის წინ დამაყენა... უფროსმა თავზედ ხელი გადამისო და მითხრა: ,,აბა რისა გეშინიან, ბავშო, მე ხომ კაცის მჭამელი არა ვარ... ამ სიტყვებზედ ცოტა არა ძალა მომეცა, მორცხვობის პირ-ბადე ამეხსნა და პირდაპირ დაუწყე ცქერა უფროსს.

— რამდენი წლისა ხარ, ბავშო?

— რვა წლისა.

— რა გქვიან?

— სანდრო.

— რისთვის მოხვედი აქ?

— უნდა ვისწავლო!

— კარგათ ისწავლი?

— ჰოდე!..

აბა მაშ წადი და კარებთან დადექი. ჩემმა ძმამ მიმიყვანა და კარებთან დამაყენა... ასე ყველას თვითეულათ ჩამოუარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწერა გვარი და სახელი და ყველანი კარებთან ჩამოამწკრივა... ცოტა ხნის შემდეგ აქედან საღლაც წაგვიყვანეს. წასვლისას დედას თვალი გადავავლე, უკან ფეხიც დავიხიე, რომ დედასთან მივსულიყავი, მაგრამ გვიან ღა იყო! ჩვენ უკვე ერთს დიდს ოთახში შეგვიყვანეს და ვილაც სქელ კაცს ჩაგვაბარეს.

6 ივნისი.

დედა ჩემი უკვე სოფელში დაბრუნდა... მე ჩემს მდგომარეობას შევეჩვიე... ჩემი ძმები მალი-მალ მნახულობდნენ და გულს მიკეთებდნენ. ჩვენი უფროსიც მალი-მალ შემოდიოდა კლასში, გვათვალიერებდა, გვეალერსებოდა, იცინოდა, გვაცინებდა, გვეთამაშებოდა... მაშინვე შეატყობდით, რომ მას ბავშები ძალიან უყვარდა და მეც ისე შემიყვარდა, რომ სულ იმის ნატვრაში ვიყავი, როდის შემოაღებდა კარს და თავის მუდამ მხიარულს სახეს როდის დაგვანახვებდა.

ჩვენი მასწავლებელი, ვასილ პეტროვიჩი, კი სრულებით არ მომეწონა. სულ მუდამ გაბრაზებულია, დაღვრემილი, გაცოფებული კაცივით თვალ-ჩასის ხლიანებული... სულ იცემება, ყვირის, ერთ ალერსიან სიტყვას ამისაგან ვერავინ გაიგონებს.. ჩვენ ყველას გვეშინიან ამისი, სულ-განაბულები, მობუზულები ვსხედვართ კლასში .. სწავლის ხალისიც არა გვაქვს...

6 ივნისთვე დაუვიწყარი დღეა ჩემი ცხოვრების მატეანეში... ჩემს კლასში, სხვათა შორის, ორი მოზრდილი ბავშვი სწავლობდა — ექვთიმე გვარაძე და მიხა ბეჟანიშვილი. ექვთიმე მეტის მეტათ წყნარი, მშვიდობიანი, უწყინარი ყმაწვილი იყო... არავის აწყენიებდა და თვით ამასაც პატივისცემით ეპყრობოდნენ ამხანაგები... ჯერ არაფერს იტყოდა და, თუ რაიმე უსამართლობას შენიშნავდა, მაშინ კი ვაი იმას, ვინც ამას წინ გადაელობებოდა... ნამდვილი ქომაგი იყო დაჩაგრული ამხანაგებისა და თავ-გამოდებით იბრძოდა დამჩაგვრელების წინააღმდეგ.

მიხა ბეჟანაშვილი კი სულ სხვა რამეს წარმოადგენდა ექვთიმე გვარაძესთან შედარებით: არავის ასვენებდა, ყველას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში უფაჩუნებდა, ყველა აბეზარს მოჰყავდა და ხან-დახან კლასში ისეთს რამეს ჩაიდენდა, რომ მასწავლებელი იძულებელი გახდებოდა მთელი კლასი დაესაჯა, რადგანაც ბეჟანიშვილი თავის საქციელს მალავდა ხოლმე. ვასილ პეტროვიჩს დიდი ცხვირი ჰქონდა და ამისთვის ბეჟანაშვილმა ცხვირაძეთ მონათლა იგი.

ერთს დილას, 6 ღვინობისთვეს, ვასილ პეტროვიჩი ჩვეულებაზე გვიან მოვიდა კლასში... ბეჟანაშვილმა ამ დროს ერთი ვაი-უშველებელი ასტეხა: ხან მასწავლებლობდა, აჯავრებდა ვასილ პეტროვიჩს, ხან მამალივით გაჰყიოდა და ხან-დახან ქოფაკი ძაღლივით იყეფებოდა. ასე ამგვარათ ჩვენც გვაცინებდა და თითონაც თავს იქცევდა. ესეც რომ მოსწყინდა, მივიდა საკლასო ფიცართან და დაიწყო დიდ-ცხვირიანი კაცის დახატვა და ძირს მსხვილი ასოებით „ვასილ პეტროვიჩი" მიაწერა. როცა ეს დაასრულა, მივიდა კარებთან,—შეეტყო მასწავლებელი ხომ არ მოდისო და მას კი დაეტაკა. ბაიყუშმა გონება არ დაჰკარგა... სული მოიბრუნა და თვალები ნახატისკენ დარჩა.

— სად მიხვალ, ჰკითხა მასწავლებელმა.

— არსად, გარეთ მინდა გავიდე.

— არ შეიძლება, წადი შენს ადგილას დაეგდე.

ბეჟანიშვილი ცოტა შესდგა, უნდოდა შემთხვევით ესარგებლა და ნახატი წაეშალა, მაგრამ გვიანლა იყო, ნახატი უკვე შენიშნა ვასილ პეტროვიჩმა და სიბრაზით ქარიშხალი გამოხატა მისმა სახემ.

— ეს ვინ დახატა? გამოვიდეს ამ საათში. წამოდექით წინ... წამოდექით!.. მე გამოგიყვანთ, მე... ყვიროდა მასწავლებელი... ყველანი ავკანკალდით... ჩემს გულს შიშით რაკარუკი გაჰქონდა. არ ვიცოდი რითი გათავდებოდა საქმე... ბეჟანიშვილი კრინტს, ხმას არა სძრავდა... მასწავლებელს კი სიბრაზის ალმური ასდიოდა და ხელებს აქეთ-იქით იქნევდა... ერთი სილა მეც მომხვდა და ღრიალი შევქენი... დიდი ამბავი მოხდებოდა, რომ ექვთიმე გვარაძე არა ყოფილიყო. ეს შესანიშნავი ბავშვი, უწყინარი, მექომაგე დაჩაგრული ამხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგებისა, უეცრათ წამოიძახებს: ბატონო მასწავლებელო, ეგ ნახატი ჩემია, სხვებს ნულარა სცემთ, მე ვისულელე და მა-პატიეთ! ამ სიტყვებზედ მივარდა ვასილ პეტროვიჩი იმ ყმაწვილს, გამოათრია თმებით, წააქცია იატაკზედ და დაუწყო ისე უწყალოთ ცემა, რომ ჩვენ გვეგონა მოკვდა კიდეცაო. ჩემმა გულმა ვეღარ გაუძლო ამ სურათს, ერთი კი შევკივლე და კარებისაკენ გავექანე. ყველა მე დამედევნა და წივილ-კივილით აქეთ-იქით სამალულებში მივიმალენით.

ამ დროს მთელი სკოლა ფეხზედ დადგა. უფროსი კლასიდან გამოვიდა... გულ-შეღონებული გვარაძე დიდმა მოწაფეებმა სკოლის საავადმყოფოში წაიყვანეს. ერთი ვაი-უშველებელი დატრიალდა სკოლაში.

გ ა მ ო ძ ი ე ბ ა.

26 დეკემბერსთვე.

დღეს გამოძიება—გამოკითხვაა სკოლაში... ჩვენ სულ-განაბულები ვსხედვართ და უცდით თუ რა იქნება... ექვთიმეც მალე გამოკეთდა და კლასში ზის... ჩემი თვალები სულ ამას მისჩერებია... მაკვირვებს კიდეც იგი და მახარებს კიდეც. მაკვირვებს იმისთვის, რომ ვაჟკაცურათ თავის-თავზე მიიღო დანაშაულობა, მაშინ, როდესაც იგი არაფერში არა ყოფილა; მიხარია კიდეც—იმისთვის, რომ ამისთანა ამხანაგი მეგულება და მის მფარველობის ქვეშ ვიქნები სულ მუდამ...

გამოძიების მოლოდინში მე მოუსვენრათ ვზივარ... ჩემი ყურადღება გვარაძე და ბეჟანიშვილისაკენ არის ძიმართული. ბეჟანაშვილი თავ-ჩაღუნული ზის, რცხვენიან, წითლდება, თრთის და ხანდახან თუ მაღლა აიღებს თავს, მხოლოთ იმისთვის, რომ ერთი თვალით მაინც შეჰხედოს გვარაძეს და ამოიკითხოს იმის თვალებიდან მისი გულის ძგერა... გვარაძეს ერთნაირობა ეტყობა, არც იცინის და არც ტირის, მისი სახე კეთილშობილურათ გამოიყურება, მისი თვალები თავ-განწირულობას გვიხატავს... ნეტავ შენ, გვარაძე! ნეტავ შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებს, რომ ასეთი კარგი რამა ხარ! მენატრება დღეს მისი მდგომარეობა, მენატრება მისი ყოფა-ქცევა! მის ახლო ყოფნა მინდა, მასთან დალაპარაკება, მისი გულის ვითარების გაგება! წამოვიწიე კიდეც მასთან მისასვლელათ, მაგრამ ამ დროს შემოვიდა ჩვენი უფროსი. და ძალა-უნებურათ ჩემს ადგილს მივეკარი...

უფროსი, როგორც შევატყე, დღეს მოწყენილია... სახე ალარ ულიმის... მისი მშვენიერი პაწაწინა ხელები საალერსოთ ალარ იშვირებიან... რამდენიმე წუთი ისე დგას, უძრავათ ერთს ადგილას, მისი თვალები მისჩერებია გვარაძის კეთილ-შობილურ თვალებს, იქიდან რიღასაც ამოკითხვა უნდა, რა-ღაც საიდუმლოების გაგება... გვარაძე პირდაპირ უშიშრათ იყურება, ბეჟანიშვილს ძირს ჩაუქინდრავს თავი, სირცხვილით უფროსისთვის ვერ შეუხედნია... მის გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი ტრიალებს.

— ბავშვებო! დღეს მინდა თქვენგან მართალი გავიგო! დღეს გამოცდაა თქვენი, მაგრამ გამოცდა სწავლაში კი არა, თქვენს ყოფაქცევაში... დღეს მე თქვენგან უნდა გავიგო სი-მართლე, მინდა გავიცნო თქვენი გულის ვითარება, მინდა გავიგო რამდენათ აფასებთ ჩემს თქვენდამი სიყვარულს. გა-დამიშალეთ თქვენი გული... მითხარით მართალი და მართ-ლისათვის არავინ დაისჯებით... ტყუილი კი... არა ტყუილს ნუ მეტყვით, თუ ჩემი სიცოცხლე გინდათ, თუ ნამცეცი მა-ინც სიყვარული გაქვთ ჩემი!''.

სიჩუმე... მკვდარი სიჩუმე .. ყველა რაღაცას ელის... მაგრამ ხანი გადის და არავინ არაფერს ამბობს... ბეჟანაშვი-ლის იმედი მქონდა, რომ ჩვენი უფროსის სიტყვების შემდეგ, ადგებოდა და გულწრფელად მოახსენებდა მას: —ჩემო საყვა-რელო მასწავლებელო, მე ვარ დამნაშავე, მე მოვახდინე ის ამბავი, მე ლირსი ვარ დასჯისა და დამსაჯეთ ისე, როგორც ეკადრებოდეს ჩემს საქციელს''... მაგრამ აქაც მოვტყუვდით... იგი გაქვავებული ზის და ყველა მის ამხანაგებს ბრაზით გვევ-სება გული!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე სიჩუმე დაირღვა, პარტის რაკუნი მოისმა და ყველაბ უკან მივიხედეთ... გვარაძე წამოდგა, უფროსს თვალები გაუშტერა და მოახსენა:

— ძვირფასო მასწავლებელო! მაპატიეთ, მე ჩავიდინე ის საქმე!

— მოდი აქ, უთხრა უფროსმა, თვალი-თვალს გაუყარა, კარგა ხანს შეაჩერდა მის კეთილშობილურ გამომეტყველებას და უთხრა:

— არა, გვარაძე, შენ არა ხარ! შენ მაგას არ ჩაიდენდი!

— დიახ, ეგ არ არის.. მე... მე ვარ... მომკალით, დამახრჩეთ... ტირილით წარმოსთქვა ბეჟანაშვილმა და მომეტებული აღელვებით ხმა ჩაუწყდა... ამ სიტყვებმა მთელი კლასი ააღელვა... მე ტირილი მომივიდა და, ეტყობოდა, რომ უფროსსაც ფერი ეცვალა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.. უფროსი სკამზედ დაეშო სულის მოსაბრუნებლათ და ცოტა ხნის შემდეგ ბეჟანაშვილი თავისთან გაიყვანა.

— ბავშვებო! დღევანდელი დღე, ბედნიერების დღეა ჩემთვის... დღეს დავრწმუნდი, რომ ჩემი დიდი სიყვარული გქონიათ და ერთმანეთიც ძალიან გყვარებიათ.. დღეს გვარაძემ თქვენთვის თავი გამოიდო... თქვენთვის უნდოდა სასჯელი აეცილებინა – ამჯობინა თვითონ ერთათ-ერთი დასჯილიყო, ვინემ მთელი კლასი. ეს კეთილი მისწრაფებაა სულისა, კეთილშობილური გრძნობაა... მისაბაძი ყოფაქცევაა... ბავშვებო! ეს ამბავი ნუ დაგავიწყდებათ... გიყვარდეთ ერთმანეთი ისე თავ-განწირვით, როგორც თავ-განწირვით თქვენ გვარაძეს უყვარხართ. მეც არ დავივიწყებ ამ პაწაწინა გმირს... მისი სახელი და გვარი ჩემი გულის ფიცარზედ იქნება აღბეჭდილი ოქროს ასოებით. სთქვა ეს და მიიკრა გულზედ ის შესანიშნავი მოწაფე და დაუკოცნა ვარდივით გადაშლილი კეთილშობილური შუბლი: ყველა სიხარულის ცრემლმა შეგვიპყრო, ჩვენი გული განათლდა ამ სანახაობით—ჩვენს სახეს ნისლი მოშორდა და სიხარულით ჩვენმა თვალებმა დაიწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცქერა ხან გვარაძისაკენ და ხან ჩვენი შესანიშნავი მასწავლებლისაკენ.

— და რაც შეგეხება შენ, ბეჟანაშვილო, ამას გეტყვი, რომ შენი საქციელი არ იყო კარგი. შენს ყოფა-ქცევას ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვა... მაგრამ შენმა გამოტეხამ, შენმა გულწრფელმა აღსარებამ ჩემი გული მოინადირა, საქმე გაასწორა!.. გასწი, დაჯექ შენ ადგილას და სულ მუდამ გახსოვდეს, რომ მართლის თქმა ახარებს, აკეთილშობილებს მთქმელს... გახსოვდეს ეს და აბა შენ იცი როგორც მოიქცევი და შენი კარგი ყოფაქცევით გააქარწყლებ შენ მიერ ჩადენილს საქმეს: გმადლობთ, ბავშვებო, გმადლობთ! სთქვა ეს, გვიბრძანა გარეთ გასვლა და აღტაცებულნი ამ ამბის ნახვით კვიცებივით დავიწყეთ კუნტრუში ჩვენი სკოლის თვალ-ტკბილ ეზოში.

ალ. ნათაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესანიშნავი ქვეყანა.

(მოგზაურობა ჩრდილოეთ ამერიკაში.)

თამბაქოს პლანტაციებზე ამუშავებდენ მონაზანგებს, იმათი მუშაობა მემამულეებს დიდ სარგებლობას აძლევდა, რადგან მათი შენახვა იაფად უჯდებოდათ.

ამ პლანტაციებზე მუშაობდენ ათასობით კაცები თავ აუღებლივ თითქოს იმიტომ, რომ თავიანთი მოძმეები დაეღუპათ თამბაქოს მოწევით, მისი ღეჭვით ფილტვები გაეფუჭებინათ და მემამულეები კი გამდიდრებულიყვენ.

სანამ ამერიკას აღმოაჩენდენ ევროპიელებმა არ იცოდენ თამბაქო რა არის. ხოლო ამერიკაში მოდიოდა თამბაქო. ამერიკიდან დაბრუნებულნი მოგზაურნი ევროპაში სხვა და სხვა ამბებთა შორის უამბობდენ იმ მცენარეზედაც. ამბობდენ მაგალითათ, რომ ინდოელები ცეცხლს ყლაპამენო და ნესტოებიდან კვამლი გამოსდითო. ამ ამბებს მოჰყვა ის შედეგი, რომ ევროპიელებმა გადმოიტანეს ევროპაში თამბაქო და ინდოელებისაგან შემოიღეს მისი მოწევაც. მალე ეს საძაგელი ჩვეულება გავრცელდა მთელ ევროპაში და თამბაქოს მოყვანა დიდი სასარგებლო გახდა. ვირგინიის შტატის მცხოვრებლები შეუდგენ უმთავრესათ ამის მოყვანას.

ახლა ამერიკელი თამბაქო გააქვთ მთელ დედამიწის ქვეყნებში. ამერიკაში თითქმის ყველგან მოჰყავთ, მეტადრე დიდი მოსავალი იცის თამბაქომ კენტუკში, ვირგინიაში, ჩრდილოეთ კაროლინაში და ტენნესში: ამ შტატების ჰაერი და ნიადაგი მეტათ ხელს უწყობს თამბაქოს მოყვანას. აქ თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ თამბაქოს პლანტაციებს.

თამბაქოს ფოთლები მიეგვანება კომბოსტოს ფოთლებს, ხოლო მათზე გრძელია, ფერი მუქი მწვანე აქვს და ელვარებს. ღეროები ისეთი გრძელი და მაგარი აქვს—რომ ფოთლები ჩამოვაცალოთ წკეპლათ გამოდგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამბაქოს გაშენება აგრე ადვილიც არ არი. ჯერ თამბაქოს სათესლოთ დათესენ, ცალკეთ იმისთვის მომზადებულ პატარა ადგილზე. ამ ადგილას მოჰფენენ ფეჩხით. წაუკიდებენ ცეცხს, ამ ცეცხლის მეოხებით გასწყვეტენ ჭია-ღუებს, ეგვარგის ფესვებს და ყველა უვარგის მცენარეებს, რომელნიც მიწაშია ჩამარხულნი. მერე პატივს დააყრიან, რომ ადგილი განიყიერდეს და ბოლოს მარცვლებს ჩააგდებენ, დათესავენ. ზემოდან გადააფარებენ კიდევ რამე ფოთლებს რომ თბილათ დარჩეს და ჭია-ღუები არ მიეკაროს.

მერე რამოდენა გგონიათ? თამბაქოს მარცვალი ისეთი პატარაა, რომ მილიონზე მეტი შეგეძლებათ ჯიბეში ჩაიყაროთ. ამბობენ ერთი მისხალი თესლი შეადგენს ორმოცდა ათი ათას მარცვალს. თესლს დათესის წინეთ აურევენ ნაცარში ან მტვერში, თორემ თესლი ძალიან ახლო ახლო მოვა.

თამბაქოს თესავენ გაზაფხულზე. დათესის ცოტა ხნის შემდეგ მიწიდან ამოვა თავები, ისეთი როგორც კომბოსტომ იცის, ამ თავებს ფრთხილათ იღებენ და როგორც კომბოსტოს ისე ჩარგამენ. ორ დღიურზე ჩარგამენ არა ნაკლებ ათი ათას მცენარეს. მთელ ზაფხულს ამ მცენარეს დიდი ყურადღებით უვლიან. შემოდგომაზე მოსავალს აგროვებენ. მცენარე თამბაქო რომ დამწიფდება, ფოთლები გაყვითლდება, მაშინ ფოთოლს მოსჭრიან ძირში, რაც მიწაზე ჩანს და ჭოლოქზე ჩამოაცმევენ. ზოგ ადგილას მეთამბაქოები პირდაპირ ღეროებს აცლიან ფოთლებს და მავთულზე ახვევენ.

სანამ ფოთლებს გაიტანენ გასაყიდათ—აშრობენ ცალკე ამისთვის გაკეთებულ საშრობებში. ამისთანა საშრობ ადგილები გამართული აქვთ თითქმის ყველა პატარა მემამულეებსაც-კი. ეს არის უბრალო ხის შენობა უფანჯრებოთ. ყველგან ამ შენობაში არის ფეჩი თავისი საკვამლეებით. ეს საკვამლეები მთელ ოთახშია აყვანილი სითბოს მისაცემათ. თამბაქო გაფენილია გადებულ ჭოლოქებზე და დღე და ღამ ცეცხლი ანთია ამ შენობაში, სანამ თამბაქო სულ არ გაშრება. ბოლოს თამბაქოს შეჰკრამენ კონებათ. და გააქვთ გასაყიდათ

უმეტესი ნაწილი თამბაქოსი იგზავნება თვით შეერთებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტატების თამბაქოს ქარხანაში. ამ ქარხანაში ამზადებენ სიგარებს, პაპიროსებს, მოსაწევ და დასაღეჭ თუთუნს.

ხედავთ რამოდენა შრომა, ძალა და მუყაითობა უნდება ამ ადამიანისთვის სავნო მცენარის მოყვანას.

მერე იცით რამდენი მილიონი ხალხი სწევს თუთუნს, ღეჭამს და ამითი იწამლავს თავის სხეულს, იფუჭებს ფილტვებს, კიდევ უფრო უმეტესათ, ბავშები იწამლებიან იმ თამბაქოს სუნით. ეს საბრალო ბავშები ყმაწვილობიდანვე ეჩვევიან თამბაქოს სუნს, ხედავენ როგორ ყველანი სწევენ, როგორ თამბაქოში იკლავენ თავს და თითონაც ეჩვევიან. მართალია ყმაწვილებს ჯერ ეზიზღებათ მოწევა, მაგრამ ბოლოს სიამოვნებას გრძნობენ და ამ საწამლავით ივსებენ გულ მუცელს.

,,თუ დიდრონები სწევენ, ალბათ კარგი რამ უნდა იყოს'' ფიქრობენ ბავშები.

ბავშს პირველ მოწევაზე გული ერევა, ცუდათ ხდება, მაგრამ ამხანაგები, რომელნიც შესჩვევიან კიდეც ამ სავნო ჩვეულობას დაცინიან ამისთანა ბავშს, მასხარათ იგდებენ და ბავშვი რასაკვირველია თავს ძალას ატანს და მალეც ეჩვევა თამბაქოს. ხშირათ თვით სხეული ეწინააღმდეგება ამ საწამლავს, მაგრამ დიდების მიბაძვა ვაჟ-კაცობათ მიაჩნიათ.

ბამბის ქვეყანა.

VI.

ჩვენ მივდიოდით სულ სამხრეთისაკენ. მალე მივაღწიეთ იმ დიდ ოლქს, სადაც ბამბა მოჰყავთ. ჩრდილოეთ და სამხრეთ კოროლინის შტატიდან დაწყობილი, ბამბა მოჰყავთ შემდეგ ადგილებში: გიორგიაში, მისისიპში, ალაბამში, უიზინკაში, არკანზასში და მეტადრე ტეხაში. სხვა ადგილებშიაც არის ბამბა, მაგრამ ნაკლებათ.

ამერიკის ბამბა ითვლება საუკეთესო ბამბათ მთელს დედაბიწაზედ. თითმის ორი მესამედი ბამბის ქსოვილისა, რომელსაც ვახმარებთ ჩვენ ტანთსამოსს—ამერიკის ბამბიდან არის გაკეთებული, ამერიკაში რატომ უფრთ ბევრი ბამბა მოჰყავთ, ვიდრე სხვა ქვეყნებში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ რომ აქ ჰაერი და მიწის ნიადაგი ძალიან ხელს უწყობს ბამბის მოყვანას. ბამბისთვის საჭიროა თბილი ადგილები ხოლო ძალიან ნოტიო არ უნდა იყოს. შეერთებულ შტატებში სწორეთ ამისთანა ჰაერია. საუკეთესო ადგილები ბამბის მოსაყვანათ არის კუნძულები, რომელნიც ჩამწკრიებულნი არიან სისწვრივ სამხრეთ კაროლინას და გიორგიას შტატებში. ამ კუნძულებზე მოჰყავთ განსაკუთრებული ბამბა, რომელსაც კუნძულის ბამბას უწოდებენ. ეს ბამბა მოდის ოთხჯერ ან ხუთჯერ მეტი სხვა ჯიშის ბამბაზე. ამ ბამბის წვეროები უფრო გრძელია, ვიდრე სხვა ჯიშის ბამბისა, ამასთანავე ელავს ატლასისავით. მართალია ეგვიპტეშიაც არის ეს კაი ჯიშის ბამბა, მაგრამ ძალიან (ოტა მოჰყავთ, ისე რომ შედარებით ამერიკაზე სახსენებელიც არ არის.



ბამბის მოგროვება

გინახამთ როდისმე მინდორი ბამბით დათესილი! ძალიან ლამაზი არის მეტადრე, როდესაც ღეროზედ ბამბის კუკურები გამოესხმებათ. საითაც გაიხედავთ ყველგან მცენარე წელამდე მოგდით. ყველა ღეროს აბია თეთრი კუკურები, თითქოს თოვლის გუნდიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გავიარეთ დიდ ძალი ბამბის მინდვრები. ეს მინდვრები რკინის გზას ორივე მხრით ჩაუდის, შიგ ხალხი მოსჩანან აგროვებენ ბამბას. ზანგებიც და თეთრ-კანიანებიც ტრიალებენ კვალებში და ღეროებს აცლიან თეთრ რბილ კუკურებს. ზოგჯერ მოგვესმის მუშების სასიამოვნო ღიღინი და წკრიალა ხმა

რკინის გზის სადგურებზედ აწყვია დიდძალი საპალნეები ბამბით მომზადებული „ახალ ინგლისის" ქარხნებში გასაგზანათ ან და ამერიკის და ევროპის სხვა და სხვა ადგილებში მისაწოდებლად. ყველა მემამულის ეზოში მოჩანს რამდენიმე საპალნე ბამბა. პატარა მოკირწყლულ გზებზე წამ და უწუმ ვხედავთ, როგორ ზიდვენ ახლათ მოგროვილ ბამბას. მერე საკუთრივ ამისთვის მოწყობილ ჩიხრიხზედ აცლიან ბამბას კურკას.

ჩვენ გავჩერდით ერთ სადგურზე, სამხრეთ კაროლინაში საკუთრივ იმისთვის, რომ გვენახა ბამბის მოყვანა. ჯერ დაგვანახვეს მინდორი, რომელზედაც ის იყო ბამბა ამოდიოდა. მცენარე მწვანეთ იყო გადაშლილი და მაყვლის ბუჩქს მიეგვანებოდა. წვეროებზე ესხა მწვანე კაკლები კოკოსის ოდენა. მერე გვიჩვენეს მინდორი სადაც მცენარეს. კუკურები მოესხა. ზოგიერთ ბუჩქებზე კაკლები მომწიფებულიყვნენ გადასაშლელად. და მთლად თითქოს თოვლის ფიფქით დაფარულიყვნენ, ეს ნიშნავდა იმას, რომ მალე ბამბა მოსაგროვებელი გახდებოდა.

ცოტა მოშორებით, დაბლობ ადგილზე ნიადაგი უფრო უკეთესი იყო, კუკურები იქ სულ გადაშლილიყვენ და თეთრ ბამბის ქულებათ ეკიდენ. ზემო ღეროებზე კი ჯერ ისევ შემოუსვლელი იყო კუკურები.

მივედით იმ ადგილას, სადაც ბამბა უკვე მოსული დაგვხვდა: მოვგლიჯეთ რამდენიმე კუკური, მისი მოგლეჯა ადვილი იყო შიგ პატარა, მაგარი მარცვალი ვნახეთ. მოვაშორეთ მას ღერო და დავაკვირდით ეს ბამბის თესლია, რომ ლისგანაც თვით მცენარე მოჰყავთ სიდიდით ლიმონის თესლს უდრის. ბამბას სანამ, გასაყიდათ გაიტანდნენ, თესლი უნდა მოსცილდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვკითხეთ მემამულეს, როგორ მოჰყავს ბამბა და ეს
რა გვიამბო:

აპრილის თვეში მან ჩაყარა ბამბის თესლი გაკეთებულ
კვლებში, ერთი კვალი მეორისაგან მოშორებულია ხოლმე
სამ ფუტზე. მალე მიწიდან ამოვიდა ღეროები. თიბათვის ნა-
ხევარს მთელი მინდორი მცენარით მოიფინა და ბევრმა კი-
დეც მოისხა ვარდის მინაგვანი მშვენიერი ყვავილი. ჯერ კო-
კრიდან ყვავილი თეთრათ გამოჩნდა, მეორე დღეს ყვავილი
მთლად ნათელია, ამ დროს მინდორს რომ გადახედოთ, გე-
გონებათ ვარდის წალკოტიაო. მალე ფურცლები ჩამოცვივა
და ბამბის კაკლები გამოჩნდება, კაკლები დამწიფდება და
დასკდება. ძაშინ ლამაზ თეთრ კუკურეებს დავინახავთ.

ამ აწერილობიდან სჩანს რომ ბამბა ერთბაშათ არ მო-
დის, ზოგჯერ რამდენჯერმე გაუვლიან მინდორს, რომ არ
დარჩეთ მცენარე მოუგროვებელი. სამხრეთ ადგილებში და
ტეხასის შტატში კათათვეშივე დაიწყებენ ბამბის მოგროვებას.
რაც უფრო ჩრდილოეთისაკენ არის დათესილი მცენარე, იქ
უფრო გვიან აგროვებენ. ზოგიერთ ადგლებში ქრისტიშობის-
თვემდე გრძელდება მისი მოგროვება.

როცა ბამბას მოაგროვებენ მანქანაზედ ჩიაქვთ გასასუფ-
თავებლათ. ჩვენ გავყევით ერთ ბამბით დატვირთულ პოვოს-
კას. ბამბას ასუფთავებენ კბილებიან მანქანაზედ, რომელიც
ჩვენებურს ჩიხრიხს მიეგვანება, ჯერ აცლიან მარცვალს,—
კურკას, მერე მანქანა სავარცხლით ასწორებს და იმასვე გა-
მოჰყავს ბამბა ნაკეც ნაკეცათ. მერე მას საპალნებათ კრავენ,
რომ გემზე და რკინის გზაზედ ბევრი ადგილი არ დაიჭიროს.
ამისთვის აქვთ მანქანა—პრესი. შეახვევენ მსხვილ სამოსელში
და რკინის სალტებს შემოაკრავენ. თითო საპალნე იწონის
ათ ფუთზე მეტს და ღირს ექვსიდან რვა მანეთამდე. ფასები
ყოველთვის ერთი და იგივე არ არის, ეგ მოსავალზე ჰკიდია.

იქნება იკითხოთ, ბამბის კურკას რაღას უშვრებიან? მას
ინახავენ დიდის სიფრთხილით, ის ძვირადა ღირს. გამოანგა-
რიშებულია, რომ ყოველ წლივ ამერიკაში მოგროვილი ბამ-
ბის კურკა ღირს ორას მილიონ მანეთზედ მეტი. ამ რამდე-

ნიმე წლის წინათ ვერავინ იფიქრებდა რომ ბამბის კურკას ასეთი ფასი ექნება. წინეთ მას სწვამდენ, ან და გადაყრიდენ, როგორც უვარგისს, მაგრამ ახლა ამ კურკიდან ზეთს ხდიან. ამიტომ კურკას ჯერ შუა შუა აპობენ, მერე გაატარებენ მანქანა-პრესის ქვეშ და ისე სწურავენ.

ბამბის კურკის ზეთს საპნის გასაკეთებლად ხმარობენ. ამ ზეთს კიდევ ხმარობენ, როცა უნდათ დაამზადონ სხვა და სხვა საგანგებო ზეთი მაგალითად ზეთი ,,ოლეო-მარგარინა'' გარდა ამისა, თუ ბამბის კურკის ზეთი კარგათ არის გამოხდილი, საჭმელად ხმარობენ. ზეთის ხილის მაგივრად. უმეტესი ნაწილი ზეთისა, რომელიც ამერიკაში იყიდება, არის ბამბის კურკის გამონახადი. ის დიდძალი მუშები, რომელნიც ამ ზეთის გამოსახადათ მუშაობენ, პურზე უსვამენ და იქვე მუშაობის დროს შეექცევიან.

ახლა ვნახოთ ბამბიდან რა ქსოვილები გამოჰყავთ, უკანასკნელ წლებამდე ყველა დიდრონი საქსოვი ქარხნები ხოლო ,ახალ ინგლისში' მოიპოვებოდენ. მაგრამ ახლა სამხრეთ შტატებშიაც ბლომათ არის. ამ ადგილებში ქარხნების გამართვა უფრო ეშარჯვებათ, რადგან წყლის ძალა აქ უფრო ადვილი საშოვნელია და თვით ბამბის გადმოტანა მდინარეების წყალობით იაფი ჯდება.

ჩვენ გავეგზავრენით სამხრეთ კაროლინის შტატის ერთ ქარხანაში. ეს ქარხანა მოთავსებულია დიდ, სამ სართულიან ქვითკირის სახლში. ფართო ოთახებში მანქანებზე მუშაობენ ასობით კაცი და დედაკაცები. ბამბა გადმოაქვთ პირდაპირ იმ მანქანიდან, სადაც მას კურკებს აცლიან. მიდიოთ იმ ბამბას, სანამ არ ვნახავთ იმისაგან როგორ კეთდება მშვენიერი ქსოვილი. ადვილი ნუ გგონია იმ ჩითის გაკეთება, რომელში დაც არშინში რაღაც გროშებს ვიძლევით.

ავიღოთ ერთი ბღუჯა ბამბა და დავაკვერდეთ: რა ყურადღების ღირსია ეს მასალა! მათში აუარებელი თეთრი პატარა ბეწვებია, ხოლო რამდენიმე მათგანი რომ ერთად გადავგრიხოთ მაშინ ადამიანის თმის სისხო გახდება. ამ ბამბის წმინდა ბეწვს ეძახიან „ВОЛОКНО"-ს მათი სიგრძე თითის სიგრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეა თითქმის ერთი საპალნე ბამბის ბეწვების რიცხვი ეს ეკუთვნის
აღემატება მთელი შტატის მცხოვრებთა რიცხვთ. მაგრამ ამ
წმინდა ძაფებიდან ართავენ მაგარ ძაფს და ქსოვენ გამძლე
მაგარ ქსოვილებს.



ს ა ქ ს ო ვ ი ქ ა რ ხ ა ნ ა

ბამბის საპალნეს გახსნიან, დაანაწილებენ. მერე ჩაჰყრიან ცილინდრში — და იქიდან ამოსწევენ ბამბას ძაფებათ. ამ ძაფებს დაათავთავებენ და გაატარებენ სხვა მანქანაში. რომლის კბილებითაც ის სუფთავდება მტვერი: და ჭუჭყი ეცლება ისე რომ, როდესაც აქედან ბამბა გააქვთ მასში აღარც ქვიშაა, აღარც ფოთოლი და აღარც რაიმე ჭუჭყი. ხელს რომ დაადებთ საამურათ რბილია და უფრო თეთრია, ვიდრე მანამდე იყო. — ასე მეტათ სუფთა ბამბა გამოდის.

შემდეგ მოჰყვებიან მის ვარცხნას. გაატარებენ ჩიხრიხში. რომლის კბილები ისე წვრილი და ჩშირია, რომ ოცს კბილს ერთი ფრჩხილის ტოლა ადგილი უჭირავს. აქ ბამბა მშვენივრად ივარცხნება. ულსწორ-მასწორი და აწეწელი ბამბა ამ კბილებიდან გამოდის თანასწორი და ყურთუკივით რბილი. ჩალიჩი გრეხილი ძაფისა. მანქანაში გატარების დროს თანდათან იგრიხება, სანამ ისეთი სისქისა გახდება, როგორც ძუა, მერე ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძუის მგზავს ძაფებს. – მეორე მის გვარ ძაფებს უერთებენ და ისეთ მანქანაში გაატარებენ, რომელიც ამას ნართად გამოიყვანს. ბოლოს ამისაგან ქსოვენ ბამბეულს.

მომზადებულ ნართის ნაწილს ამოიღებენ მანქანიდან, დაახვევენ გრძელ ჯარაბუაზე და მერე სართავ მანქანაზედ მოჰყვებიან დართვას. თითო ამგვარი მანქანა ატრიალებს რამდენიმე ას ჯარას და იმდენ საქმეს აკეთებს, რასაც ათასი დედაკაცი ვერ გააკეთებს. ნართს მორგვებზედ ახვევენ იმ სიგანეთ, რა ზომისაც უნდა სამოსელი მოიქსოვოს. და დგიმს ქსოვილის სიგრძის შესაფერად იჭერენ. მოსაქსოვათ მომზადებულს ძაფებს კოჭებზედ ახვევენ და დგიმზე ისე ქსოვენ. ერთს წუთში ას ორმოცდა ათჯერ გაუყრ-გამოუყრიან დგიმში ძაფს. ამას ჰქვიან ქსოვა და საქსოვ მანქანებს—საფეიქრო.

საფეიქროში ისეთი ხმაურობაა, რომ კაცს ყურებს გამოუჭედავს. აქ ისეთი გახურებული და გაჩქარებული მუშაობაა რომ თითო ქარხანაში მზადდება დღეში რამდენიმე ათასი არშინი ქსოვილი.

(შემდეგი იქნება.)

სიმინდის ტეხა ამერიკაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სებასტიან გომეცი.

(დასასრული)

ახელ-განთქმული ისპანიელი მხატვრის მურილიოს სამხატვროში, თუმცა ძალიან ადრე იყო—საშინელი ხმაურობა იდგა. თვითონ მხატვარი არ იყო ჯერ მოსული, მაგრამ მის შაგირდებს, რიცხვით თხუთმეტს თავი მოეყარათ, ლაზღანდარობდენ და აურზაური გაჰქონდათ. ესენი იქნებოდენ თორმეტი წლიდან ოცამდის და ყველა მხიარულნი. სამხატვრო იყო გამართული ერთ ორ-სართულიან სახლის ჩარდახში. მისი დიდი ფანჯარა გაიყურებოდა ალკაზარისკენ. ბაღის ხეებიდან, მაოცხნივ გამოიყურებოდა ეკლესიის სამრეკლო და მარჯვნივ მწვანე კიდეებზე მოჩხრიალებდა ვერცხლსაებრ მდინარე გვადალკვივირი. სამხატვროდან ერთი კარები ძირს კიბეზე ჩადიოდა და მეორე პატარა ოთახში გადიოდა, რომელიც იყო სებასტიანის და მისი მამის საწოლათ. აქვე ახლოს იყო საკუჭნავო, სადაც ინახავდენ ფერად წამლებს, სახატ დიდ და პატარა კალმებს, მიტკლეს და სხვა გამოუყენებელ სამხატვრო მასალას.

— რა უცნაური ამბავია! შეჰყვირა ერთმა მოწაფეთაგანმა, რომელსაც ერქვა ისტურიც,—ვიღასაც მოუთავებია ჩემი ნახატი,— გუშინ ვერ გავათავე, ყმაწვილის თავი ვერ დავამთავრე—დღეს კი დამიხვდა ნახატი მოთავებული, მერე შეხედეთ რა მშვენიერი გამოსულა?

— რა სულელი ხარ! უსათუოდ თვითონ ჩვენი მაესტრო საღამოზე იქნებოდა სამხატვროში და გაგისწორებდა ნახატს — შენიშნა მეორემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაესტროს ჩვეულებათ არა აქვს უჩვენოთ გაასწოროს ჩვენი ნახატები.

— სებასტიან,—მიუბრუნდა ერთი უფროს მოწაფეთაგანი მენდეცი მულატ ბიჭს, რომელიც იქვე კუთხეში იჯდა და თავის ბატონს სამხატვრო წამლებს უმზადებდა—ჩვენ წასვლის შემდეგ მასწავლებელი კიდევ ხატავდა აქა?

— არა, მგონი რომ არა.. არა ხატავდა! უპასუხა ბიჭმა გაუბედავათ.

— მაშ, უსათუოდ შენ თვითონ გაათავებდი, ისტურიც, შენ ნახატს და დაგვიწყებია, შენიშნა მენდეცმა.

— სად შეიძლებს ეგ აგრე კარგა ხატვას! დაცინვით უთხრა მურილიოს სულ უნცროსმა მოწაფემ, ანცმა კარლოსმა.

— აი შე საძაკელო, მე შენ გაგირიგებ! დაუყვირა ისტურიცმა, წამოხტა სამხატვრო კალმით ხელში და გამოუდგა კარლოს, მაგრამ იმან მოასწრო და თავი დააღწია. დაიწყეს ამათ ოთახში სირბილი, მოისმა რახარუხი, ხან რა გადავარდა და ხან რა წაიქცა; ის იყო ისტურიცი უნდა მოსწეოდა თავის მტერს, რომ უცბათ კარლოსი გაუსხლტა ხელიდან და იქვე მდგომი სებასტიანი მიაჯახა ისტურიცს. მან ალარ გააჩერა ვინ იყო და მულატს ჩაარტყა. ამ დროს—ვილასიც მძლავრმა ხელმა შეაყენა. ისტურიცი მობრუნდა. მის წინ იდგა მურილიოს საყვარელი შაგირდი ფერდინანდი, მაღალი, წამოსადეგი ყმაწვილი კაცი ჭკვიანი შეხედულობისა.

— არა გრცხვენიანთ რომ იცემებით ქუჩის ბიჭებივით, დალაგდით თქვენ ადგილებზე. ახლავე მოვა მასწავლებელი და კარგი იქნება ვუთხრათ, რომ ჩვენ სამხატვროში რაღაც უწესობა ხდება. გუშინ მენდეცი ამბობდა, რომ ვილასაც უხლია ხელი მის ნახატისთვის და წამლებიც უხმარიათ. ამ დღეებში კარლოსმა ნახა ტილო, რომელზედაც თავი იყო დახატული და არ გამოჩნდა თუ ვისი დახატული იყო, დღეს კიდევ ეს ამბავი ისტურიცს გადახდა... ვილაც ეშმაკობს აქა.

— იქნება ალი გამოჩნდა—შენიშნა ჩუმათ მენდეცმა.

— რა სისულელეა! წამოიძახა გაჯავრებით ფერდინანდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა.—ვინმე თუ შემოდის ჩვენ სამხატვროში, როცა ჩვენ არა ვართ და დათარეშობს აქა. ამიტომ მგონია რომ უნდა ყველაფერი ვუთხრათ მასწავლებელს.

— რა საჭიროა რომ შევაწუხოთ ბატონი? უცბათ წამოიძახა სებასტიანმა, რომელიც დიდი ყურადღებით უგდებდა ამათ ყურს.— თუ ინებებთ, მე ვუდარაჯებ ამაღამ.

— მერე არ დაგეძინება?

— არა. არ დავწვები, ვუდარაჯებ მუყაითად.

— კარგი. ვნახოთ მოასწრობ ვისმეს თუ არა? აგრე განა, ამხანაგებ!

— ჩუმათ დასხედით თქვენ ადგილას! მასწავლებელი მოდის, დაიყვირა ერთმა შაგირდთაგანმა, რომელიც უდარაჯებდა კარებს.

ერთ წამს ყველა მილაგდა, სამხატვროში ჩამოვარდა სიჩუმე, მოისმოდა მხოლოთ წამლების გალესვა, კალმების ფხაკანი და ტილოზე მისმა-მოსმა.

მეჯრილიომ ჩამოუარა შაგირდების ნახატს და გაოცებული შედგა ისტურიცის ნახატის წინ.

— როდის მოასწარი ყმაწვილის თავის შეთავება? მშვენივრათ მოგითავებია, ჩემ ნახატს არ ერჩევა. გეტყობა რომ თავს უდებ მუშაობას, ისტურიც, დროა! მე რომ ყოველთვის გეუბნებოდი რომ კაი მხატვარი გამოხვალ თუ ბოინდომებ. მაგრამ შენ ამ ბოლოს დროს ისეთი დაუდევარი და ზარმაცი გახდი, რომ მე სრულებით იმედი დამეკარგა. მოხარული ვარ რომ ჭკუაზე იქცევი.

ისტურიც დიდათ შერცხვენილი იდგა მხატვრის წინ.

— მასწავლებელო! უნდოდა ეპასუნინა ისტურიცს მაგრამ ამ დროს დიდებული მხატვარი უკვე მენდეცს უსწორებდა სურათს და ყურადღება არ მიაქცია. ისტურიცმა ხმა გაკმინდა და შეუდგა მუშაობას. ზოგი ამხანაგი დაცინვით უყურებდა ამას და ზოგი გაკვირვებით და მოკრძალებით.

ისტურიცის საქმე სულ აირ-დაირია. იმ ფიქრში იყო თუ ვინ მოათავა ასე მშვენივრათ მისი დაწყებული ნახატი, ხელები უკანკალებდა, წამლები ხელში ერეოდა ვერაფერი ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეხატა. რა ქნას, როგორ ეუთხრას ოსტატს! ამხანაგებმა დაიცინეს. ამ დროს სებასტიანმა შემოიტანა სინით საუზმე, პური, ხილი და ცივი წყალი. მასწავლებელმა აიღო ხელი მუშაობიდან და ეუთხრა შაგირდებს:

— აბა, ყმაწვილებო! დაისვენეთ, ისაუზმეთ.

სენიორ მურილიო თუმცა სწავლის დროს მკაცრათ ეკიდებოდა შაგირდებს, მაგრამ დასვენების დროს მხიარული იყო და შეიქცევდა ხოლმე მომავალ მხატვრებს.

— ახლა-კი ყველაფერს გავუმხელ, იფიქრა ისტურიცმა. მივიდა ახლოს, მაგრამ ხან რამ დაუშალა, და ხან რამ. ბოლოს მურილიო წამოდგა იმის ნიშნათ, რომ დრო იყო მუშაობისა. ყველამ დაიწყეს ისევ ისე ხატვა, სიჩუმე ჩამოვარდა სამხატვროში, ხოლო ხანდისხან ამ სიჩუმეს დაარღვევდა რომელიმე შაგირდი და მოკრძალებით ჰკითხავდა რასმეს მასწავლებელს.

მუშაობა გათავდა. ისტურიცმა მხოლოთ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლათ, როცა მურილიომ დაითხოვა ყველანი. წასვლის დროს შაგირდებში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ამ ამბების შესახებ, რომელიც ბოლოს დროს ხდებოდა სამხატვროში. ყველანი მოუთმენლათ ელოდენ მეორე დღეს, რადგან სებასტიანს უნდა ედარაჯნა და შედეგი ამათთვის გაემხილა.

—

პატარა ლიფლიფა მარმარილოს მომცრო მაგიდაზე დადგმული, მკრთლათ ანათებდა თითქმის მოთავებულ მურილიოს ნახატს, რომელზედაც დახატული იყო მადონა ანგელოზებით გარს შემორტყმული, დანარჩენი სამხატვრო ოთახი მიჩრდილული იყო.

სიჩუმე და სიბნელე სუფევდა ყველგან, ხოლო ხანდისხან ფანჯრიდან მოისმოდა ფრინველის ჩხავილი და მდინარიდან ნავის ნიჩბების მოსმა. სურათის წინ ღრმათ ჩაფიქრებული იჯდა სებასტიანი. სახის გამომეტყველობა ნაღვლიანი ჰქონდა. რაც ყმაწვილი გადმოვიდა მხატვართან, გაიზარდა, მოლონიერდა, სიმარჯვე მოემატა. შეხედულობა ვაჟ-კაცისა მიიღო. ბინა კარგი ჰქონდა. კარგათაც ემსახურებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი კმაყოფილი იყო მისი, მაგრამ ბოლოს დროს ერთი უბედურება დაემართა: ის ყოველთვის ხედავდა მურილიოს მშვენიერ ნახატებს, ესწრობოდა მის გაკვეთილებზე, ბოლოს მხატვრობამ უნებურათ გაიტაცა და ჩუმ ჩუმად ცდილობდა თითონაც დაეხატა რამე. მართლაც, მხატვრის კალამი მის ხელში მარჯვედ დატრიალდა, და მურილიოს შაგირდებს არ ჩამორჩა. სებასტიანი ვერავის უმხელდა თავის ამბავს, მთელი საათობით რჩებოდა სამხატვროში როდესაც შაგირდები წავიდ-წამოვიდოდენ და თან და თან სურვილი ხატვისა უძლიერდებოდა. საშინლათ უნდოდა შეეტყო მურილიოს აზრი—მართლა აქვს ამას ნიჭი თუ არა და ამიტომ ისტორიცის სურათი დაამთავრა თავისებურათ და ამით გამოიწვია როგორც შაგირდების განცვიფრება, ისეც მურილიოს ქება. ახლა პატარა ზანგი დიდი აღელვებული იყო, მხატვრის ქებაზე მედიდურობას გრძნობდა და თან რცხვენოდა ყველას მოტყუება. ბატონმა რომ გაიგონ ხომ გაჰყიდის მასაც და მის მამა—ძმასაც, რა ჰქნას, როგორ დააღწიოს თავი! უნდა ღამე ვუდარაჯო, შეგირდებს დავპირდი, რომ შეგატყობინო ვინც შემოდის სამხატვროში. ასე გამოდის, რომ ჩემ თავს მევე უნდა ვუდირაჯო. თუ არა და ტყეილი ვთქვა. სენიორი შემიტყობს, თუ დავმალავ, გამიწყრება და მერე რაღა მეშველება!

ცრემლებ მორეულმა ყმაწვილმა აიღო ლიფლიფა და გასწია თავის ოთახში დასაძინებლად, ყმაწვილი ნელ-ნელა შედიოდა ოთახში, რომ მამა არ გაელვიძებინა, მაგრამ მოხუც ზანგს არ ეძინა და დაინახა თუ არა შვილის თვალებზედ ცრემლები,—მიიხმო ის თავისკენ:

— შვილო ჩემო, უთხრა მამამ და თან გულში ჩაიკრა, —ჩვენ აქ კარგად ვცხოვრობთ, ისე კარგად, რომ ყველა შეგვნატრის ჩვენ და ასე კარგად ვერც სადმე ვიცხოვრებთ. რად ტირი, რად აწყენინებ ღმერთს? მხატვრობა შენი საქმე არ არის,—თავი დაანებე მაგ ოცნებებს მუყაითათ იყავ, თავი დაუდე შენს საქმეს, ღმერთს მადლობა შესწირე, რომ ამისთანა ბედში ჩავვარდით. თორემ მხატვრობა შენ უბედურებაში ჩაგაგდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებასტიანმა თავი ჩაქინდრა.

— რა ვქნა, ვეცდები, რომ ხატვაზედ აღარ ვიფიქრო!.. სთქვა ყმაწვილმა და ტირილით ქვეშ-საგებზე პირქვე დაეცა.

მოხუცმა ზანგმა ამოიოხრა. ის დიდხანს იჯდა ლოგინზე და შეწუხებული უგდებდა ყურს შვილის კვნესა-ტირილს. ნუგეშის-ცემა კი ვერაფრით შეეძლო ჰატარა ხანს შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა;—სებასტიანი დამშვიდდა. ეტყობოდა რომ დაეძინა... მოხუცი ზანგიც ბალიშზედ მიესვენა. ნაღველი გაექარწყლა და თავი ძილს მისცა.

სებასტიანს ესიზმრა საოცარი სიზმარი: ვითომ სამხატვროში შემოვიდა მოხუცებული ანნინა. და აპირებდა იმის სადღაც წაყვანას. მამამაც უთხრა: წადი შვილო, შენ მაგივრად მე მოუვლი სამხატვროსო. აი, მოხუცებულ მოსამსახურე დედაკაცს მიჰყავს ის სადღაც. ქოხში და ეუბნება:—მომიცადე აქა, ახლავე დავუძახებ **ამას** და ის ყველაფერს გვიამბობს.—ვისთვის უნდა დაეძახა? მაგრამ ანნინა უცებ გაჰქრა და ქოხის მაგივრად ყმაწვილი გაჩნდა მშვენიერს სამლოცველოში, რომლის თაღები თითქოს ცას ებჯინებოდენ. იქ, იმ სიბაღლეში სჩანდენ ანგელოზები და ღვთის-მშობელი—ძე იესოთი. „წმინდაო ღვთის მშობელო,—ამბობს ყმაწვილი და ხელებს აღაპყრობს მისკენ—მიშველე!“, უცბად ზეციდან წამოვიდა ნელ-ნელა ღვთისმშობელი. სამლოცველო განათდა, იქაურობა გაბრწყინდა. სებასტიან!—ამბობს ღვთისმშობელი და ილიმება —სებასტიან. მე ვარ დედა ყველა ობლებისა. მოველ შენდა სანუგეშოდ, რადგან დედა არა გყავს, შემომხედე მე, სებასტიან, დამაკვირდი და როდესაც დაბრუნდები სახლში,—დამხატე. დეე ყველა ობლებმა მიხილონ. ნუგეში და სიმშვიდე იგრძნონ.—სებასტიანი შესცქერის, შეჰყურებს ღვთის მშობლის წმინდა სახეს, სცდილობს დაინახოვროს მისი სახის გამომეტყველება. უცბად ისიც და სამლოცველოც გაჰქრენ. სებასტიანი ქუჩაში გაჩნდა—„წამოდი!—უთხრა ანნინამ—დროა სახლში დავბრუნდეთ. ანნინა, ჩემო ანნინა!—ამბობს ყმაწვილი ჩურჩულით და... გამოეღვიძება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ფანჯრიდან შემოიჭვრიტა დილის სინათლემ, — გაანათა ღარიბათ მოწყობილი ოთახი, მშვიდათ მძინარე მოხუცი და ბავშვები. სებასტიანი საჩქაროთ წამოიჭრა ზეზე, ჩაიცვა და გავიდა სამხატვროში, იქ მონახა უვარგისი ტილოს ნაჭერი, მასწავლებლისაგან მიგდებული, ჩარჩოს მიაკრა, მონახა საჩქაროთ სამხატვრო კალამი და ფერადები. — დაიწყო ხატვა. ის ხატავდა ღვთისმშობლის სახეს, სწორედ ისეთს, როგორიც წარმოუდგა სამლოცველოში ანგელოზებით გარს შემორტყმული. მისი სახე ყმაწვილს ისე ჩაებეჭდა რომ თითქმის თავის-თავად გადადიოდა ტილოზედ. მზე თან და თან მაღლა ადიოდა და თავის სხივებს ფენდა სევილის ქუჩებს და სახლებს. ქალაქი თან და თან იღვიძებდა. დარეკეს ცისკარზედ. სებასტიანი ისევ ხატავდა, მოხუც ზანგს ამ დიღ ას დიდხანს ეძინა, რადგან ღამე მოუსვენრად გაეტარებინა. მაგრამ ბოლოს იმასაც გამოეღვიძა. და გაეშურა წირვაზედ. სებასტიანი არც არავის ხედავდა და არც არაფერი ესმოდა. ის სულ ხატავდა და ხატავდა. ღვთისმშობლის სურათი თან და თან გარკვევით და ნათლად მოსჩანდა ტილოზედ. უცბად ვილამაც მხარზე ხელი დაადვა და მოესმა შემდეგი სიტყვები:

— ვინ გასწავლა, სებასტიან, შენ ხატვა?

შეშინებული ყმაწვილი უცბათ შეკრთა. მის წინ იდგა გაოცებული სენიორი მურილიო და ალერსით შესცქეროდა.

— მაპატიეთ, სენიორ! — წაიბუტბუტა სებასტიანმა.

— მითხარი, ვინ გასწავლა ხატვა? — გაიმეორა მაესტრო მურილიომ.

— თქვენ, სენიორ! — წაილუღლუღა ყმაწვილმა.

— როგორ თუ მე? — დაეკითხა გაოცებული მხატვარი.

— მე გიცქერდით როგორ ხატავდით.,. გიგდებდით ყურს, როცა შეგირდებს ასწავლიდით.

— მაგრამ სადა ნახე ასეთი საუცხოვო სახე, რომ აგრე ხატავ?

— ღვთის-მშობელი სიზმარში გამომეცხადა; სთქვა აღელვებულმა ყმაწვილმა და მისი შავი უშნო სახე ისე გაბრწყინდა რომ ლამაზად გამოიყურებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სებასტიან!—თქვა მურილიომ და გულში ჩაიკრა ყმაწვილი, — შენ იჩენ მხატვრობაში დიდ ნიჭს! გინდა რომ გახდე ჩემი შეგირდი და განთქმული მხატვარი შეიქმნა?

— სენიორ, რასა ბრძანებ,—მე ხომ მონა ვარ!.. ვინღა დაგილაგებს სამხატვროს?—დაბნეულათ მიუგო ყმაწვილმა.

— მაგ საქმისთვის სხვას ვიშოვი,—უთხრა ღიმილით მხატვარმა, — მე გაგანთავისუფლებ მონობიდან შენც, მაგაშენსაც და შენს ძმასაც.

— სენიორ, უპასუხა ყმაწვილმა, ცოტა მოფიქრების შემდეგ და მუდარებით შეხედა თავის ბატონს,—ნება მიბოძეთ, სენიორ, დავრჩე თქვენთან ისე, როგორც აქამდის; მე თავისუფლება მესაჭიროება მხოლოდ იმიტომ რომ შემეძლოს ხატვა და თუ ამის ნება მექნება თავს ბედნიერად ჩავთვლი და ადრინდელივით გემსახურებით.

— შენ კაი ბიჭი ყოფილხარ, სებასტიან, უთხრა ლმობიერად მხატვარმა,—აბა, მიუჯექ შენს ნახატს, შეგირდები მოდიან, შენ ხატე, ყურადღებას ნუ მიაქცევ. კარს მე გავიღებ.

შეგირდებს დიდათ გაუკვირდათ სებასტიანი რომ სამხატვრო კალმით ხელში ნახეს. მურილიომ უთხრა მათ, რომ დღეის იქით ესეც ჩემი შეგირდიაო.

ყველა ისე გაოცდა, რომ ხან მასწავლებელს შესცქეროდენ და ხან მშვენიერს ნახატს.

— ვინ დამაჯერებს რომ ეს ღვთის-მშობლის სახე სებასტიანის დახატულია!—არა და არა! სენიორი დაგვცინის ჩვენ, — თქვა მენდეცმა.

— რა ცოდნით და გემოვნებით ახამებს ფერადებს! სწორედ გასაკვირველია!—წამოიძახა ფერდინანდმა,—ყველას გაგვასწრო!

— ახლა კი ადვილი გამოსაცნობია, ისტუიცს ვინ დაუხატა, ისე მშვენივრად ყმაწვილის თავი.—შეჰყვირა კარლოსმა. — ახლაც დაუმალავ და არ გაუმხელ შენ მასწავლებელს?

— ამაში დამნაშავე მარტო მე ვარ, თქვა სებასტიანმა და გაუმხილა. სენიორს ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი დაემუქრა სებასტიანს, ისტორიცს ხუმრობით ყური აუწია და ყველა დასხა სამუშაოთ.

—

სევილიაში ზამთრის მოსაწყენი დღე იდგა. ცაზე ოდნავ გადაფარებული ღრუბელი მზის სხივებს მალავდა, მოისმოდა სევდიანი ხმაურობა სიცივით შებოჭილი მდინარისა. გაძრცვნილი ხეები ნაღვლიანათ ირხეოდენ. სევილეა გლოვობდა. არსაიდან არ გაისმოდა არც სიმღერა, არც მუსიკის ხმა. ხალხი დაღვრემილის სახით მიეშურებოდა ეკლესიისაკენ. მოისმოდა სამგლოვიარო ზარის რეკა. სევილია მარხავდა დღეს თავის გამოჩენილ, დიდებულ მხატვარს მურილიოს. ის ხან-მოკლე ავათმყოფობის შემდეგ, ჯერ ისევ სამხატვრო კალმით ხელში გარდაიცვალა წყნარად, დამშვიდებული, რადგან გრძნობდა რომ თავის ქვეყნისთვის ღირსეულად მუშაობდა და თავის განთქმული ნახატებით მსოფლიო სახელი დაიმსახურა. მას გარს ეხვევნენ შეგირდები, რომელნიც არამც თუ თაყვანის-მცემელნი იყვენ მისი ნიჭისა, არამედ აგრეთვე გრძნობდენ მისდამი მამობრიულ სიყვარულს. შეგირდთა შორის მისთვის ყველაზე მეტად ძვირფასი იყო სებასტიან გომეცი, მისი მონა, რომელიც გახდა გამოჩენილი მხატვარი. კარგა ხანი იყო რომ სებასტიანმა მთელ ევროპაში გაითქვა სახელი.—მულატი მურილიოსი და მისი ნახატები სევილიის ეკლესიებს ამშვენებდენ. სებასტიანს სხვა და სხვა ქალაქებში ბევრნი იწვევდენ, მაგრამ ის არა სტოვებდა თავის მასწავლებელს და ნამდვილი შვილივით უყვარდა. მურილიომ მის ხელზე დალია სული და თავის გაუთავებელი სურათი დასამთავრებლად მას ჩააბარა.

ის ალერსით და ღიმილით ესალმებოდა სებასტიანს:

— მე ქვეყანას ვუტოვებ ჩემს ნახატებზედ უკეთესს თვით მოშავალ მხატვარსო, და სებასტიანის ხუჭუჭს თმებს ხელს უსვამდა. სებასტიანი კი იმის საწოლის წინ მუხლ მოდრეკილი ქვითინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურილიოს ნახატები მოფენილია მთელს დედა-მიწაზედ. უმეტესი იმათგანი კი იმყოფება სევილიაში. იმ ქალაქშივე ნახავთ სებასტიან გომეცის ღვთის-მშობლის ნახატსა, რაშაც ზანგ-ბიჭის ნიჭი გამოაჩარავა.

ან. წერეთლისა.

(ოსრგმანი)



ᲒᲛᲘᲠᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ.

ᲩᲝᲤᲔᲚ ᲒᲐᲠᲡᲣᲚᲚᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔ ᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲜᲘᲔ ᲣᲯᲓᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤ ᲓᲔᲓᲐᲡ, ᲣᲪᲑᲐᲗ ᲨᲔᲛᲝᲔᲡᲛᲐ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲫᲛᲘᲡᲐ. ᲛᲐᲠᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲥ ᲜᲐᲮᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲫᲛᲐ ᲛᲗᲚᲐᲗ ᲪᲔᲪᲮᲚᲨᲘ. ᲑᲣᲮᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲛᲝᲰᲙᲘᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲙᲠᲗᲐ. ᲔᲠᲗ ᲬᲐᲛᲡ ᲩᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ ᲙᲔᲓᲔᲚᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲐᲛᲘ, ᲓᲐᲐᲤᲐᲠᲐ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲡ, ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲒᲝᲠᲐᲝᲑᲐ ᲘᲐᲢᲐᲙᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲰᲐᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲰᲙᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲣᲥᲠᲝ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘ.

ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲐᲠᲘᲛ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲕᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲫᲛᲐ ᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲡ.

*
* *

ᲠᲕᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲟᲐᲙᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲪᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲩᲐᲡᲐᲥᲠᲝᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲡ ᲣᲛᲪᲠᲝᲡ ᲫᲛᲐᲡ ᲬᲐᲔᲙᲘᲓᲔᲑᲘᲜᲐ. ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲘ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲟᲐᲙᲘ ᲛᲐᲠᲢᲝᲗ-ᲛᲐᲠᲢᲝ ᲨᲔᲔᲑᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲡ, ᲫᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲪᲘᲠᲔᲝᲓᲔᲜ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲛᲝᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲛᲐ ᲓᲐᲐᲠᲩᲝ. ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ.

ᲩᲝᲤᲔᲚ ᲐᲚᲚᲔᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲐᲗᲮᲝᲕᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲢᲐᲜᲖᲔ ᲘᲐᲠᲔᲑᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. .

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ მას არ ეკარებოდა, არავინ მას არ შველოდა, ხოლო ერთმა სოფლელმა ყმაწვილმა ლეონნი შარრიმ შეებრალა. ეს პატარა ქალი ძალიან ძნე მომუშავე იყო. ზამთრობით ლეონნი სწავლობდა სოფლის სკოლაში და შველოდა დედას ოჯახში. ზაფხულობით, როცა სწავლა არ იყო, რომ ორიოდ გროშით შესწევნოდა ოჯახს, უდგა ხოლმე საქონელს. ნახა თუ არა ლეონნი შარრიმ მოხუცებული მათხოვარი მოჰყვა მასზე ზრუნვას. ლეონნი აგროვებდა ტყეში ჩინჩხვარს და მოჰქონდა ნახევრათ დანგრეულ ქოხს უთბობდა. თავისი მცირე ჯიბის ფულით ყიდულობდა ბამბის ძაფს და უქსოვდა საბრალოს ჩულქებს. ლეონნი სიყვარულით უწევდა მზრუნველობას ამ მოხუცებულს. უწმენდა და ესუფთავებდა იარებს, უვარცხნიდა თმებს. ისე უვლიდა, როგორც ნამდვილ ავათმყოფ დედას. მისი ალერსი, როგორც მზის სხივი უნათებდა გულს დაბეჩავებულ და მოხუცებულ მათხოვარს.

წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი.

სამი სილა.

ერთ განთქმულ პროფესორს, რომელიც ვენის უნივერსიტეტში ანატომიას კითხულობდა, უყვარდა თავის სიყმაწვილის თავგადასავალის ამბობა.

ჩვენ გიმნაზიის წინ ყოველ დილას ჩერდებოდა მერძევის პატარა ეტლი ჩოჩორ შებმული, მუშტრებისთვის რძის მისაწოდებლად. ჩვენი მოსწავლეები, რასაკვირველია ამ სულ გრძელ ჩოჩორს მოსვენებას არ აძლევდენ და აწვალებდენ. მაგრამ როგორც კი მერძევე გამოჩნდებოდა, უცბად ბავშვები მიიფანტ-მოიფანტებოდენ და ჩოჩორის პატრონი მარტო მუქარით და ბუტბუტით გულს იჯერებდა. ერთხელ, წუადლის დასვენების დროს ბავშვებმა დაიწყეს თავიანთი ჩვეულებრივი ცელქობა დიდყურასთან. მაგრამ გაიგონეს თუ არა პატრონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხის ხმა და იმის ცარიელი რძის ჭურჭლის ჩხარა ჩხარი ყველ-
ლანი მიიმალენ. მხოლოდ მე, რომელიც ათი წლისა ვიქ-
ნებოდი ამ სიცელქეში არავითარ მონაწილეობას არ ვიღებ-
დი და დინჯათ შევცქეროდი ამხანაგებს და თან ვიტენებოდი
თეთრი პორით. მერძევე, რომელსაც უნდოდა ვისმეზე ამოე-
ყარა ჯავრი თავის ჩოჩორის წვალებისათვის პირდაპირ მე და-
მეტაკა. მაგრამ მე რაკი არაფერში დანაშაულობას არ ვგრ-
ძნობდი დამშვიდებული ვიდექი და როდესაც ვირი თავის
პატრონის მოახლოვებაზე მოჰყვა ყროყინს, გულიანად გადვი-
ხარხარე. ამ დროს უცებ ტკაცანი გაისმა და ჩოჩორის პატ-
რონმა იმისანა ლონიერი სილა მდრუბა, რომ მიწაზე ყირა-
მალა გადავტრიალდი. მე ყველას მაგიერად დავისაჯე. გამწა-
რებული გავიქეცი პირდაპირ გიმნაზიაში, რომ მეჩივლა მას-
წავლებელთან, მაგრამ ჩემდა საუბედუროთ იმ დროს, როდე-
საც კარები შევაღე დავეტაკე კლასის დამრიგებელს, რომელ-
საც აუარებელ რვეულები ეჭირა ხელში — გაუცვივდა და იატაკ
ზე დაეფანტა. ,,ტკაც'' და მე მეორე, არა ნაკლები ლონიერი
სილა მივიღე.

რასაკვირველია უფრო საშინელი ღრიალი მოვრთე. გიმ-
ნაზიის უფროსმა რომ გაიგონა ჩემი ღრიალი, გამოვარდა
ოთახიდან, რომ შეეტყო რა მოხდა. იმის სასტიკ კითხვაზე მე
ტირილით უპასუხე: მასწავლებელმა სილა შემომკრა, მე ხომ
იმ ვირისთვის არაფერი დამიშავებია. ,,ტკაც'' და მე მივიღე
მესამე სილა და მერე როგორი!

რომის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში ფრიად საინტერესო ისტორიული ხანა იწყება. რომის იმპერატორების კავშირით წათამამებული ივერიის მეფეები რამდენისამე ხხით მთელი სომხეთის მბრძანებლები ხდებიან და პართიის სამეფოსაც საქმეს უჭირვებენ. ამ საგნის შესახებ დიდათ საინტერესო ცნობებს რომაელი მწერლები იძლევიან.

მას შემდეგ, რაც რომის რესპუბლიკა იმპერიად იქცა (30 წ. ქრ. წინ) და პართიის არშაკიდებმაც წინა აზიაში უპირატესობა მოიპოვეს, ამ ორ ძლიერ სახელმწიფოს შორის მცირე აზია და კავკასია სომხეთითურთ მუდმივი განხეთქილების საგნად და ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა. არშაკიდები ცდილობდენ, სომხეთში თავისი დინასტია დაემყარებიათ; რომის იმპერატორები კიდევ თავის კანდიდატებს აგზავნიდენ ამავე მხარეში. 35 წლის მახლობლათ რომის იმპერატორმა, ტიბერიუსმა [1]), იბერიის მეფეს მიჰრდატს შემოუთვალა—სომხეთს შესეოდა და სამეფო ტახტიდან პართელი მეფის არტაბანის ძე არსაკი ჩამოეგდო. მიჰრდატმა იმპერატორის ბრძანება შეასრულა და სომხეთის ტახტზე არსაკის ნაცვლათ თავისი შვილი მიტრიდატი გაამეფა; თვითონ კი იმავე წელს გარდაიცვალა და იბერიის ტახტი თავის მეორე შვილს **ფარსმან I**-ელს დაუტოვა.

ამგვარათ 35 წლის მახლობლათ ქრ. შემდეგ როგორც იბერიაში, ისე სომხეთში ერთისა და იმავე ქართველი სამეფო გვარეულობის წევრები გამეფდენ. მოთმინებიდან გამოსულმა არტაბანმა (პართიის მეფემ) თავის მეორე შვილს ოროდს დიდძალი ლაშქარი მისცა და შურის საძიებლად სომხეთის ახალი მეფის მიტრიდატისა და ფარსმანის წინააღმდეგ გამოგზავნა. ფარსმანმა თავის ჯარს ალბანელები და სარმატები შეუერთა და ოროდი პირდაპირს ომში გამოიწვია. მაგრამ ოროდი დაქირავებულ ჯარს მოელოდა და ამიტომ ფარსმანს პირდაპირს ომში არ გაჰყვა. მაშინ ფარსმანმა პარტიზანულ ბრძოლას მიმართა: დღეს რომ პართელთა ბანაკს თავს დაესხმოდა, ხვალ საძოვარ ადგილებს ჩაიგდებდა ხელში და ყოველ ღონეს ხმა-

[1]) ტიბერიუსი იმპერატორობდა 14—37 წ. ქრ. შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდა მტერი მოთმინებიდან გამოეყვანა. მართლაც ამ ხერხმა გასჭრა და პართელებმა გადასწყვიტეს ფარსმანის ჯარს პირდაპირ შებრძოლებოდენ. დაიწყეს მზადება. აღმოსავლეთის ხალხთა ჩვეულებისამებრ, ოროდმა ტრაბახსა და თავის-ქებას მიმართა: მან თავის ჯარს არშაკიდების სახელი და მათი სამეფოს დიდებულობა მოაგონა, თანაც იბერიელების ,,მოჯამაგირეთა'' (სარმატების) სიმდაბლეს დასცინოდა. ამავე დროს ფარსმანი თავის ჯარს შემდეგი სიტყვებით ამხნევებდა: ,,ჩვენ არასოდეს პართელების ხელში არა ვყოფილვართ! ამიტომ, რაც უფრო მამაცათ ვიბრძოლებთ, მით უმეტეს სახელს მოვიპოებთ გამარჯვებით; ხოლო, თუ მტერს ზურგს ვუჩვენებთ, სირცხვილი და დაღუპვა არ აგვცდება! შეხედეთ აქ ამ ჩვენს მრისხანე რაზმებს და იქ, ოქრო-ვერცხლით მოკმაზულს, პართელთა ლაშქარს: აქ ვაჟკაცებია, იქ კი—დავლაო!'' ბრძოლა ისრის სროლით დაიწყეს, მაგრამ ქართველების მოკავშირე სარმატებმა მალე ისარს თავი ანებეს და მტერზე პირდაპირ ხმლით იერიში ,,ეიტანეს. იბერიელ-ალბანელებიც მათ მიჰყვენ. შეიქნა ჩვეულებრივი შეხლა-შეტაკება და უკან დახევა. ამ დროს ოროდი თვითონ ჩაერია ლაშქარში. და გამხნევება დაუწყო. ფარსმანიც ამ წუთს უცდიდა: იცნო თუ არა ოროდი, მედგრათ ცხენი ზედ მიაგდო და შუბით მუზარადი გაუხვრიტა; მაგრამ მეორეთ მოქნევა ველარ მოასწრო, რადგან გაანჩხლებულმა მერანმა შორს გაიტაცა, ხოლო ოროდი საკუთარმა რაზმებმა დაჰფარეს. უეცრათ ხმა გავრცელდა: ,,ოროდი მოჰკლესო'' და პართელებმა პირი იბრუნეს.—ამას შემდეგ არტაბან-მეფე კიდევ შეეცადა, სომხეთი ხელში ჩაეგდო, მაგრამ ვერაფერი გააწყო, რადგან იბერიელებს რომაელები ჰქომაგობდენ.

ამასობაში რომის იმპერატორი ტიბერიუსი გარდაიცვალა და მისი ტახტი გაიოს კალიგულამ დაიჭირა (37—41 წ.) უკანასკნელმა ფარსმანის ძმას მიტრიდატს რაღაც ორგულობა შეამჩნია, რომში დაიბარა და ბორკილი დაადო, ხოლო მკირე სომხეთი ვიღაც კოტიოსს მისცა. ეს მოხდა 39 წელს ქრ. შემდეგ. მალე კალიგულა შეთქმულობის მსხვერპლი შეიქნა და იმპერატორის ტახტი ბიძა-მისმა კლავდიოსმა დაიკავა (41—54 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამან მიტრიდატი გაათავისუფლა და ურჩია, ფარსმანის დახმარებით კვლავ სომხეთის ტახტი დაეჭირა. მართლაც ამ დროს პართიაში არეულობა იყო და, ამის გამო, თავის ძმისა და კეისრის დახმარებით, მიტრიდატმა სომხეთის ტახტი ადვილათ დაიბრუნა. მაგრამ თავისი სისასტიკით ქვეშევრდომებს მალე თავი მოაბეზრა და სომხებში არეულობა გამოიწვია. ამით ისარგებლა მისმა ძმისწულმა (ფარსმანის ძემ) რადამისტმა, რომელიც იმავე დროს მიტრიდატის სიძეც იყო (ცოლად მისი ქალი ზენობია ჰყავდა), თავისი მამის, ფარსმანის, ჩაგონებითა და დახმარებით, მიტრიდატი ტახტიდან ჩამოაგდო და სომხეთში გამეფდა.

რადამისტმა სომხეთში 52 წლამდე იმეფა, მაგრამ თავისი სისასტიკით ამანაც თავი შეაძულა სომხებს, რომელთაც მის წინააღმდეგ შეთქმულობა მოახდინეს, ტახტიდან ჩამოაგდეს და განდევნეს.*) რადამისტი ამას შემდეგ კიდევ შეეცადა სომხეთის ტახტი დაებრუნებია, მაგრამ 55 წლის დამლევს პართელებმა სომხეთი დაიპყრეს და რადამისტიც იძულებული გახდა თავისი განზრახვა დაეტოვებია. ოთხი წლის შემდეგ (59 წ.) იგი თავისი მამის მსხვერპლი შეიქნა. ამას შემდეგ ფარსმან I-ელმა კიდევ ათიოდე წელს იმეფე და 70 წლის მახლობლათ ივერიის ტახტი თავის მეორე შვილს, „აზორკს“ ანუ, როგორც მცხეთის ქვის ბერძნული წარწერა უწოდებს, **მიტრიდატ** მე-II-ეს გადასცა.

ამგვარათ, 35—70 წლებს შორის ივერიის ტახტს ფარსმან I-ელი განაგებდა. ეს ის დრო იყო როდესაც ქრისტეს მოციქულები მთელს რომის იმპერიასა და, განსაკუთრებით,

*) ამ გაქცევის დროს რადამისტს მისი ორსული ცოლი ზენობიაც თან გაჰყვა; მაგრამ, როცა ტკივილების გამო ცხენოსნობა ვეღარ შესძლო, ქმარსა სთხოვა, მტრის ხელში ცოცხალს ნუ ჩამაგდებო; ამ დროს რადამისტი არაქსის ნაპირას იყო; მან საკუთარის ხელით საყვარელ ცოლს გულში ხანჯალი დასცა და მისი ტვანი მდინარეში გადააგდო, რომელმაც იგი ნაპირზე გაიტანა. ზენობიას ჭრილობა სასიკვდილო არ ყოფილიყო; იგი სოფლის მწყემსებმა მოასულიერეს, მოარჩინეს და შემდეგ სომხეთის ახალ მეფეს წარუდგინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინა აზიას მოედვენ და წარმართობით სულშეხუთულ ბრიობას ახალი მოძღვრება უქადაგეს. აი, სწორეთ ამ დროს (50 წლის მახლობლათ) ჩვენს მეზობლად მდებარე პონტსა და კაპადოკიაში პეტრე-მოციქული შემოვიდა საქადაგებლად, ხოლო მისმა ძმამ **ანდრია პირველწოდებულმა** კოლხიდა და აფხაზეთი ანუ დასავლეთის საქართველო მოიარა. ამ დროს ტრაპიზონიდან დაწყებული ბიჭვინთამდე შავი ზღვით თავისუფალი მიმოსვლა სწარმოებდა. ამ ზღვის პირად მდებარეობდა შემდეგი ქალაქები: **ტრაპიზონი, ფაზისი** (ანუ ფოთი,) ცხუმი ანუ დიოსკურია, ბიჭვიანთა და სხვანი. ანდრია-მოციქული შემოვიდა ტრაპიზონით და ყველა ზემო ჩამოთვლილი ქალაქი ინახულა. საეკლესიო გარდამოცემით, ამ მგზავრობაში ანდრიას თან ახლდენ **სვიმონ-კანანელი** და **მატათა**, რომელთაგანაც პირველი დიდ-სებასტოპოლსა (=დიოსკურია=სუხუმი) და ნიკოფსიაში დარჩა, ხოლო მეორე სვანეთში გადავიდა.—ამავე დროს სომხეთსა, იბერიასა და ალბანიაში მოციქულმა **ბართლომეემ** იქადაგა.

2. **მეფეები: მიჰრდატ II. ამზასპ I და ფარსმან II.** იბერიის მეფის ფარსმან I-ლის გარდაცვალების შემდეგ, 79 წლიდან 96 წლამდე, რომის ტახტი ზედი-ზედ შემდეგს სამს იმპერატორს ეჭირა: ვესპასიანეს (70—79), ტიტესა (79—81) და დომიციანეს (81—96 წ.). ამათ დროს იბერიაში მეფობდა ფარსმანის ძე **მიჰრდატ** მე-II, რომელსაც აღნიშნული იმპერატორები დიდის პატივისცემით ეპყრობოდენ და მეგობრობის ნიშნათ მცხეთის მიდამოებში ციხეც კი აუშენეს ამას მოწმობს იმ დროიდან დღემდე შენახული ქვა ბერძნულის წარწერით, რომელიც ქართულათ ასე ითარგმნება:

„იმპერატორმა, კეისარმა **ვესპასიანემ**, ავგუსტოსმა, დიდმა მღვდელმთავარმა, ტრიბუნის უფლებით მეშვიდეჯერ შემოსილმა, მეთოთხმეტეჯერ ტრიუმფატორმა, ექვსჯერ კონსულმა და მეშვიდეჯერ არჩეულმა, სამშობლოს მამამ და ცენზორმა; და იმპერატორმა **ტიტე** კეისარმა, ძემ ავგუსტოსისამ, ტრიბუნის უფლებით მეხუთეჯერ შემოსილმა და ცენზორმა; და **დომიციანე** კეისარმა, ძემ ავგუსტოსისამ, მეოთხეჯერ კონსულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

აარჩეულმა—**იბერთა მეფეს მიტრიდატს**, მეფის ფარასმანისა და იამაზიდის ძეს, **კეისრისა და რომაელთა ხალხის მეგობარს**, აღუშენეს ციხე" *).

ამგვარათ ჩვენი წელთ-აღრიცხვის პირველი საუკუნის მეორე ნახევარში რომის ხალხსა და იბერიას შორის არსებული ურთიერთობა **მეგობრულის კავშირით** გამოიხატებოდა შემდეგი მეფეების **ამზასპ I-ლიხა** და **ფარსმან მე-II-ის** დროს ამ მეგობრულმა განწყობილებამ კიდევ უფრო იმატა და იბერიას მთელს წინა აზიაში დიდი ძალა და მნიშვნელობა შესძინა. ამ მხრით განსაკუთრებით ფარსმან მე-II-ის მეფობაა შესანიშნავი.

ფარსმან მე-II რომის იმპერატორის ადრიანეს (117—138 წ.) თანამედროვე იყო და მისი მეფობაც დაახლოებით იმავე წლებს ეკუთვნის (სახელდობრ 116—140 წ. ქრ. შემდეგ). ქართული წყაროები მას ,,ფარსმან—ქველს" უწოდებს და რომაელი მწერლებიც მოწმობენ, რომ იგი მართლაც წარჩინებული ვაჟკაცი ყოფილა. ,,ადრიანე იმპერატორიო,—ამბობენ იგინი,—არც ერთ მეფეს იმდენ საჩუქარს არ უგზავნიდა, რამდენსაც იბერთა მეფეს ფარასმანს, რომელსაც, სხვა დიდებულ საჩუქართა შორის, სპილო და 500 კაცისაგან შემდგარი სამეფო ამალა გაუგზავნაო".

იმპერატორების ამ ვარ განწყობილებას ფარსმან მე-II-ც კარგათ ჰხედავდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, მათი გულის მოსაგებად, პართიის სამეფო და სომხეთი (სადაც იმ დროს უკვე პართელი არშაკიდები მეფობდენ) შეევიწროებინა. ამ განზრახვით მან საიდუმლოთ ალანებთან ანუ ძასაგეტებთან (რომელნიც დიდი კავკასის ჩრდილეეთით ცხოვრობდენ) მოლაპარაკება გამართა, წააქეზა იგინი, პართების სახელმწიფოს შესეოდენ, და ამ მიზნით დარიალის ხეობით თავის სამფლობელოზე გზა მისცათ. ალანებმა მთელი სომხეთი და მიდია (სპარსეთის ნაწილი) შეარყიეს და მხოლოდ მაშინ გამობრუნდენ უკან, როცა პართიის მეფემ ვოლოგეზ მე-II-მ მათი სარდლე-

*) ამ ქვის წარწერა 75 წელს შეეხება. აღნიშნული ქვა მცხეთის მახლობლად იპოვნეს 1867 წელს.

ბი დიდის ქრთამით მოისყიდა. როცა პართებმა ფარსმანის სიკვდილ-
იდუმლო შეიტყვეს, ამ საქმის გარჩევა რომის იმპერატორთან
გადაიტანეს. ამავე დროს ფარსმანმა **„წარჩინებული"** ქართ-
ველები შეჰყარა და თავისი მეუღლითურთ რომს გაემგზავრა.
იქ იმპერატორისა და სენატის წინაშე ისეთის წარმატებით
დაიცვა თავი, რომ იმპერატორმა, მეგობრობის ნიშნად, სამ-
ფლობელოც კი გაუფართოვა (ვგონებთ კოლხიდის ზოგი-
ერთი ოლქების გადაცემით) და პირადათ მას და მის მეულ-
ლეს არაჩვეულებრივი პატივი მიაგო: ნება დართო კაპიტო-
ლიის ტაძარში მსხვერპლი შეეწირათ და ფარსმანის ცხენიანი
ქანდაკება მარსის მინდორზე დაადგმევინა აქვე ადრიანემ დი-
დის სიამოვნებით ინახულა თვით ფარსმანისა, მისი ვაჟისა და
„იბრიელი **აზნაურების**" სამხედრო ვარჯიშობა. ეს მოხდა 138
წელს *). ორი წლის შემდეგ ფარსმან ქველიც გარდაიცვალა.

3. საქართველო, რომი და სპარსეთი 140 წლიდან მესამე საუკუნის დასასრულამდე ქრ. შემდეგ. ფარსმან-ქვე-
ლის შემდეგ არმაზის ტახტზე მესამე საუკუნის დამლევამდე
ათი მეფე გამოიცვალა.**) მათ შორის ჩვენს ყურადღებას
ყველაზე მეტათ **რევ-მართალი** იქცევს (182—190 წ)
თავისი სარწმუნოებრივი რეფორმით. უძველესი დროიდან
ზოგიერთ ქართველ ტომში (მაგალითად, ალბანელებში) ადა-
მიანის მსხვერპლად შეწირვა იყო დარჩენილი. სამსხვერპლოდ
გამზადებულ პირს ერთს წელს ასუქებდენ, შემდეგ მთვარის
ტაძარში შეჰყავდათ, სადაც მთავარ-ქურუმი „საღვთო ლახვ-
რით" გულს გაუგმირავდა. როცა მსხვერპლი მიწაზე დავარ-
დებოდა, ქურუმები მისი დაცემის კვალობაზე წინასწარმეტ-
ყველებას იწყებდენ, რასაც ხალხი დიდი მოწიწებით ისმენდა.
შემდეგ მსხვერპლი განსაკუთრებულ ადგილას მიჰქონდათ, სა-
დაც მლოცველები მის გვამს ფეხით შეეხებოდენ—გავიწმინ-

*) ამგვარათ მე-II საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ვხე-
დავთ, ჩვენს ხალხში უკვე თავი უჩენია **აზნაურთა წოდებას.**

**) ეი მათი სახელები: როკ (140—146), ლადმ (146), ფარსმან III
(146—164), ამზასპ II (164—182), რევ-მართალი (182—190), ვაჩე
(190—208), ბაკურ I (208—216), მიჰრდატ III (216—224), ა ფ-
გურ (224—265), ლევ (265—300 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებითო — და დაიშლებოდენ. როგორც „ქართლის-ცხოვრებაში" გადმოგვცემს, რევ-მეფეს ეს სამარცხვინო ჩვეულება აუკრძალავს, რის გამოც მას ზედმეტ სახელად „მართალი" დარქმევია. მატიანე იმასაც დასძენს, რომ რევი ასე მოიქცა, რადგან ქრისტიანობას იცნობდაო. სჩანს, იმ დროს ჩვენში ამ ახალ მოძღვრებას უკვე ფეხი მოუკიდებია, თუ კი მის საკეთილო გავლენას თვით მმართველ წრეებშიაც ასეთი ნაყოფი გამოუღია.

რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობას, ე. ი. მის დამოკიდებულებას მეზობელ სახელმწიფოებთან მესამე საუკის დასასრულამდე, ამ მხრივ საქართველოს ცხოვრებაში არსებითი ცვლილება არა მომხდარა რა: როგორც წინათ, ისე ახლაც ქართველ ერს რომაელთა მეგობრობით ზურგი ჰქონდა გამაგრებული სპარსელების წინააღმდეგ. ეს მდგომარეობა უცვლელი დარჩა 226 წლის შემდეგაც, როცა სპარსეთში არშაკიდების ადგილი საკმაოთ ძლიერმა სასანიანთ დინასტიამ დაიჭირა. მართალია, მეორე სასანიანი მეფის შაბურ I-ელის დროს (238—272 წ.), როცა ქართლ-კახეთს ასფაგური განაგებდა (224—265 წ.), სპარსეთმა კვლავ დაიჭირა ჩვენს მეზობლად მდებარე სომხეთი (252 წ.); მართალია, 260 წელს, შაბურმა მოტყუებით ხელში ჩაიგდო თვით რომის იმპერატორი ვალერიანე და შეეცადა იბერია და ალბანია თავის მხარეზე გადაეყვანა; მაგრამ იბერიელებმა და ალბანელებმა შაბურის წერილიც კი უკან გააბრუნეს, სამაგიეროთ რომაელ სარდლებს მისწერეს: მზად ვართ დაგეხმაროთ და იმპერატორი ტყვეობიდან დაგახსნევინოთო. იბერიელებსა და ალბანელებს ამ შემთხვევაში თავრო-სკვითებიც მხარს უჭერდენ.

ამასობაში გარდაიცვალა მეფე ასფაგური (265 წ.) და მცხეთ-არმაზის ტახტი დაიჭირა ლევ-მეფემ, რომელმაც იმეფა დაახლოვებით მესამე საუკუნის დასასრულამდე. ამის დროს რომისა და სპარსეთის განწყობილება შემდეგს მდგომარეობაში იყო: 282 წელს რომის იმპერატორმა კარმა (282—284 წ.) სომხეთი და შუამდინარე კვლავ რომს დაუბრუნა და, კერძოთ, სომხეთში წინანდელი პოლიტიკური წყობილება აღადგინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარის შემდეგ რომის ტახტი დიოკლეტიანე იმპერატორმა დაიკავა (284—305 წ.), რომლის დროსაც მისმა თანამმართველმა კეისარმა გალერიუსმა სპარსეთის მეფე ნარსე სასანიანი სასტიკათ დაამარცხა და 297 წელს მესოპოტამიის (შუამდინარის) ქალაქ **ნიზიბინში** ხელშეკრულობა დაუწერა. ამ ხელშეკრულობის ძალით რომის იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრად მდ. ტიგრი დაინიშნა, სავაჭრო ქალაქად თვით ნიზიბინი, ხოლო **იბერიას რომის ხავახხალოდ** გამოცხადდა: ქართველი მეფეები ვალდებული გახდენ ,,სამეფო ღირსების ნიშნები რომის იმპერატორებისაგან მიეღოთ''.

ამგვარად საქრისტიანო წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის დამლევს, ნიზიბინის ხელშეკრულობის ძალით, იბერიაში რომაელთა სამეგობრო კავშირი ბატონობად იქცა: იბერიის მეფეებს რომის იმპერატორებმა დაუწყეს დანიშვნა. ამგვარივე მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში, როგორც ვიცით, პომპეის აქეთ არსებობდა. სწორეთ ამ წესის ძალით რომის იმპერატორმა ანტონინ პიუსმა (138—161 წ.) ლაზებს მეფედ დაუნიშნა ,,პაკორი'' ანუ ბაკური. იბერიის მეფეების მსგავსად, ლაზთა (ჭანთა) მეფეებიც სამეფო ნიშნებს რომის იმპერატორისაგან იღებდენ. ეს ნიშნები იყო: თეთრი წამოსასხამი (ქლამიდა), თეთრი ხალათი (ტუნიკა), ფეხსაცმელი, მარგალიტებით შემკული სარტყელი და რომაული გვირგვინი.

კითხვები გასამეორებლად. ვინ იჯდა არმაზის ტახტზე, როცა მაცხოვარი დაიბადა? რამდენ სამეფოდ იყო გაყოფილი ამ დროს და შემდეგშიაც მთელი საქართველო? რით არის შესანიშნავი მიჰრდატ I-ელის მეფობა? გადმოეცით მოკლეთ ფარსმან I-ელისა და მისი შვილის რადამისტის თავგადასავალი. ვის დროს და რომელმა მოციქულებმა იქადაგეს საქართველოში?

როგორი იყო რომისა და იბერიის ურთიერთობა მიჰრდატ II-ისა და ფარსმან II ქველის დროს? რომელ დროს ეკუთვნის პირველი ცნობა საქართველოში „აზნაურობის" შესახებ?

რა რეფორმა მიეწერება რევ-მართალს? როგორი განწყობილება არსებობდა რომსა, სპარსეთსა და საქართველოს შორის რევის შემდეგ მესამე საუკუნის დამლევამდე? რა ნიშვნელობა ჰქონდა ნიზიბინის ხელშეკრულობას საქართველოს ცხოვრებაში?

ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა პირველი წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლ.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „ჯეჯილი“

თბილისში ეღირება 4 მ. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5. ნახევარი წლით 3 მ. ცალკე ნომერი 40 კ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ: **ძუთაისში** წიგნის მაღაზიას **„იმერეთ“ს** და ბათუმში **მ. კალანდაძეს.**

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი **ან. თუმანიშვილი წერეთლისა.**

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА

на ежедневную общественно-политическую и литературную газету

НОВАЯ РѢЧЬ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

Для городскихъ подписчиковъ на годъ 7 р., на 11 мѣс.—6 р. 50 к., на 10 мѣс. 6 р., на 9 мѣс.—5 р. 50 к., на 8 мѣс.—5 р., на 7 мѣс.—4—50 к., на 6 мѣс.—4 р., на 5 мѣс.—3 р 50 к., на 4 мѣс.—2 р. 80 к., на 3 мѣс.—2 р., на 2 мѣс.—1 р. 50 к., на 1 мѣс. 75 коп.

Для иногородныхъ подписчиковъ на годъ—8., на 11 мѣс.—7 р. 75 к., на 10 мѣс.—7 р. 50 к., на 6 мѣс.—6 р. 75 к., на 8 м. 6 р., на 7 мѣс.—5 р. 25 к., на 6 мѣс.—4 р. 50 к., на 5 мѣс. 3 р. 75 к., на 4 мѣс.—3 р., на 3 мѣс. 2 р., на 2 мѣс.—1 р. 50 к., на 1 мѣс.—75 к.

Подписываться можно на всѣ сроки, но не иначе, какъ съ 1-го числа каждаго мѣсяца, не меньше, какъ на мѣсяцъ, и не далѣе конца года.

Годовая подписка считается только съ 1-го января

Объявленія для напечатанія въ газетѣ „Новая Рѣчь“ принимаются за плату со строки петита:

Впереди текста 10 коп. Позади текста 5 коп. Посреди текста 50 коп. Сторонное сообщеніе 15 коп. Зрѣлища и унеселенія 20 к.

АДРЕСЪ: Тифлисъ, Дворцовая, д. грузин. дворян. ред. газ. «НОВАЯ РѢЧЬ»

ТЕЛЕФОНЪ № 20.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

სახალხო გაზეთი

1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგორამე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

ოთველ დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელს გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით--5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ეღირებინ ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:

„სახალხო გაზეთი“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა № 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. აკალიშვილთან—სასახლის ქუჩა, თავადაზნ. ქარვასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიბოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჰავჰავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети“ Семену Пашалишвили